

საბავშვო საზოგადოებრივი სამსახური



„პიონერის“ ხელმძღვანელთა საუბრალოები!

„პიონერის“ რედაქციაში მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ ადგილებზე იწერენ ჟურნალს, მაგრამ ხელმძღვანელები მას არ ღებულობენო. რომ ასეთ შემთხვევებს მომავალშიაც არ ექნეს ადგილი, რედაქცია სთხოვს ხელმძღვანელებს აცნობონ მას (რედაქციას) ჟურ. გამოწერის ქვითარის ნომერი და რომელი ნომრიდან არ მიუღიათ ჟურნალი.

აგრეთვე ხელმძღვანელები ფულს ხშირად სხვა მისამართით აგზავნიან, რასაც ზოგჯერ ჩვენი ჟურნალის გამომცემლობა ვერ ღებულობს. მიუხედავად ამისა, ჟურნალს მაინც რედაქციიდან მოითხოვენ. მომავლისათვის ჟურნალის გამოწერა შეიძლება ყველა ადგილობრივ ფოსტის კანტორაში, სახელგამის წიგნის მაღაზიებში და პირდაპირ რედაქციიდან.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 2პ, სახელგამი, „პიონერის“ და „ნაკადულის“ რედაქციას.

ყოველგვარი მიწერ-მოწერა, ჟურნალის საკითხთან დაკავშირებული, ამ მისამართით უნდა იქნას წარმოებული.

რედაქციაში შეიძლება აგრეთვე შექმნა „პიონერის“, „წითელი სხივის“ და „ნაკადულის“ წასული წლების სრული კომპლექტის—ჩვეულებრივ ღირებულებაზე ორმოცდაათი პროცენტის დაკლებით.

ჟურ. „პიონერის“ რედაქცია

შ ი ნ ა ა რ ს ი:

	88.		88.
1. კვლავ სწავლისაკენ	2	7. ოცდაექვსის ხსოვნას—ვ. ლუარსაბიძის	20
2. შორეული ამხანაგები—სტეფანაშვილის	3	8. ჩვენი ცხრვრება და მუშაობა	21
3. იუ-იუ და იან-სი—ს. ერთაწმინდელის	9	9. ჩვენი ძმები მსოფლიოში	22
4. მთიან ტაიგაში—ნ. ლეონოვის	13	10. ცოცხალი საკაცეები	24
5. მხარე მუდმივ მწყურვალეებისა	17	11. თამაშობანი	კანზე
6. ვემზადოთ ოქტომბრი დღესასწაულისთვის— კ. ბუჯიაშვილის	19		

329.153 (05)

კ-47.



მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!



პიონერი

1927

15 სექტემბერი

განათლების სასახლეთა კომისარიატის სტეფანოპოლის ალბრდის მთავარმართველთმის და საქართულოს შ. კ. თ. ცენტრალური ბიუროს (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცენტრთან) აქრნალი მავშვისათვის

წელიწადი II

№ 17

პიონერები ეზიდებიან საჭკოთა კავშირის თავდაცვისათვის



ქ. ტფილისის რკინის გზის საყუდის კოლექტივის პიონერები თოფის სროლას სწავლობენ.



მუშაობა სკოლაში

კვლავ სწავლისავენ!

ხანგრძლივი საზაფხულო არდადეგების, ჩატარებული ბანაკის, ექსკურსიის, დასვენების, მინდვრის მუშაობის შემდეგ რამოდენიმე ათასეული ბავშვი კვლავ დაუბრუნდება სკოლას სწავლისათვის და საზამთრო მუშაობისათვის.

როგორ სასიამოვნოა მისვლა სკოლაში, კვლავ შეხვედრა ძველ ამხანაგებთან და მასწავლებელთან; კვლავ წიგნის ხელში აღება და ენერგიული გონებრივი მუშაობის დაწყება!

თვითეული ახალი სამოსწავლო წლის დაწყებისას ჩვენ ჩვეულებრივად იმედიანად ვიწყებთ კურსის შეთვისებას და გაძლიერებული ვიწყებთ მეცადინეობას. მაგრამ, სამწუხაროდ, ამხანაგების მნიშვნელოვან რაოდენობას წლის ბოლომდე არ ჰყოფნის სიმტკიცე და ბეჯითობა, ცოტ-ცოტათი ისინი თანდათან გულს იცრუებენ მეცადინეობაზე და წლის ბოლოს კი მეტად სამწუხარო მდგომარეობაში ვარდებიან, ძლიერ მოისუსტებენ სასკოლო მუშაობაში. ასეთი მოქმედება ყოველად დაუშვებელია. ეს კარგად უნდა ახსოვდეს თვითეულ მოწაფეს, თვითეულ პიონერს. განა არ ვიცით, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ღირსეული თაობა სოციალისტური აღმშენებლობისათვის? ამისათვის კი საჭიროა ბევრი ცოდნის დაგროვება, სამოსწავლო წლის დასაწყისიდანვე საჭიროა სერიოზულად ხელის მოკიდება სწავლისათვის, არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ „შემდეგ მაინც დავეწევი“ ან „მაინც მოვასწრებ, წინ ჯერ კიდევ დიდი დრო მაქვს“. ასე ფიქრობენ ისინი, ვინც არ მიისწრაფის კარგი სწავლისკენ, ვინც არ აფასებს თავის ცოდნას. ასეთი ბავშვები ჩვენს შორის არ უნდა იყვნენ. ჩვენი საბჭოთა სკოლა განსხვავდება ძველი სკოლისაგან იმითაც, რომ აქ მთელი სკოლის კოლექტივი—მოწაფეებიც და მასწავლებლებიც იქითკენ მიისწრაფიან, რომ რაც შეიძლება გააუმჯობე-

სონ სკოლის მუშაობა, მაღალ დონეზე აიყვანონ ის, გაავრცელონ სასარგებლო ცოდნა. სწავლის დაწყების პირველი დღიდანვე თვითეულმა მოწაფემ თავის ამოცანად უნდა დაისახოს, რომ არ გამოისტოვოს არცერთი ვაკვეთილი, არ დაიგვიანოს და თავისუფალი ვაკვეთილებითაც ისარგებლოს ცოდნის გასაფართოებლად. საჭიროა საქმე ისე დავაყენოთ, რომ სკოლაში არ იყოს არც ერთი ჩამორჩენილი მოწაფე.

როდესაც სკოლაში მიხვალთ, არ უნდა დავაწყდესთ მომავალი საზოგადოებრივი მუშაობაც, ხელაღვე საჭიროა პიონერთა თავის მოყრა, ფორპოსტის დაარსება, მსჯელობა, თუ როგორ მოვაწყოთ სასკოლო თვითმართველობა, რას უნდა აკეთებდეს ის, როგორი ბავშვები ავირჩიოთ ყოველგვარ ორგანიზაციაში და სხვა. აქტიურმა მოწაფეებმა და პიონერებმა უნდა აუხსნან ყველა ბავშვს ამ მუშაობის დიდი მნიშვნელობა, ის, რომ არ შეიძლება მისთვის გვერდის ახვევა, რადგანც პიონერული მუშაობისა და სასკოლო თვითმართველობის გარეშე სკოლას არ შეუძლია წარმატება, წინსვლა.


აგრეთვე ჩვენი ჟურნალი „პიონერი“ უნდა იქნეს გავრცელებული მოსწავლეთა მასებში. „პიონერზე“ ხელის მომწერთა გამრავლება—ესეც ჩვენი უპირველესი ვალდებულებაა.

დაბოლოს, ამ წელს სკოლებში მოვა რამოდენიმე ათასი ახალი მოწაფე ბავში. საჭიროა მათ მზიარულად და გულთბილად შეხვდეთ, დავებმართოთ მათ გაეცნონ სკოლას, ჩავაბათ ისინი სასკოლო მუშაობაში და ცხოვრებაში.

ორი კვირის შემდეგ ჩვენ ვიწყებთ სწავლას. ამისთვის კარგად უნდა დავიმზადდეთ ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანები და ვემზადოთ ახალი სამოსწავლო წლისათვის.



შტურმული ამხანაგები



მიიჩქაროდენ.

სკოლაში მიიჩქაროდენ შალვა და ჯოჯიკო.
ნისლიანი დილა იყო; მზე არ სჩანდა.

— იქნებ დავიგვიანეთ? — კრთომით იკითხა
ჯოჯიკომ.

— არ შეიძლება! არ უნდა ვავიგვიანოთ! —
ჯიუტად მიუგო შალვამ და ნაბიჯს აუჩქარა.

ჯოჯიკო თითქმის მირბოდა, ამხანაგს რომ
გატოლებოდა და მასთან თანაბრად ევლო. ამ
სირბილისაგან დაქანცულს შუბლზე ოფლი გამო-
სვლოდა, მაგრამ საყვედურს კი არ ამბობდა, — მირ-
ბოდა მხოლოდ.

„მაცადინობა ცხრის ნახევარზე იწყება“ — ფიქ-
რობდა შალვა. „წესდების გამომშვებებაში მეც ვლე-
ბულობდი მონაწილეობას და ახლა მე თვით დავარ-
ღვიო? რა თქმა უნდა—არა!“

შალვამ კიდევ უფრო აუჩქარა და ჯოჯიკო
ოფლში გაიღვარა.

მართალია, პირველი დავიანება ეპატიებათ,
მაგრამ შალვა დღეს მომხსენებელია! მთელი ჯგუფი
მას მოელის და უიმისოდ მაცადინობა არ დაიწყება.

მალე გაიარეს ნავსადგურის მიდამო და ქალა-
ქის სწორ ქუჩაში გამოვიდნენ.

გამვლელი ცოტა იყო, რამდენიმე დიასახლისი
ბაზარში მიდიოდა;

ერთგან მუშები ტელეგრაფის ბოძს თხრიდნენ
და ხმამაღლა საუბრობდნენ.

— რომელი საათია, ძია, არ იცი? — ჰკითხა
ერთ მათგანს შალვამ.

— არ ვიცი, — უპასუხეს მუშებმა შალვას,
მაგრამ სწორედ ამ დროს შორს ქარხნის საყვირის
ხმა გაისმა და მუშებმა შალვას მიაძახეს:

— რვა საათია, ბიჭო.

შალვასა და ჯოჯიკოს გაუხარდათ:

— აღრე ყოფილაო, — და ნაბიჯებს უკოფეს.

შრომის სკოლა.

შალვა და ჯოჯიკო მიუახლოვდნენ დიდს, ორ-
სართულიან შენობას.

შენობას დიდი ეზო ერტყა. ეზოში იყო ლა-
მანი კვიპაროსები და კვიპაროსებს შუა კი ბილიკები.

ბილიკზე ახლა არავინ დადიოდა, სამაგიეროდ
შესავალ კარებში თავი მოეყარათ მოწაფეებს, ქა-
ლებსა და ვაჟებს; ისინი ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და
გაცხარებით საუბრობდნენ, ზოგნი კი შენობაში
მიიჩქაროდნენ.

ჩვენმა მეგობრებმა, დაინახეს თუ არა თავისი
ტოლები, უნებურად გაიჩქარეს, თითქო დიდი ხანი
არ ენახათ აქაურობა.

ჯოჯიკომ ერთი გოგო და ბიჭი დაინახა, რო-
მელნიც ერთად მოსულაყვნენ და კიბეზე აღიოდნენ.

— ვასიკო, მიშიკო და ელიკო, ხედავ?
მიუთითა ჯოჯიკომ შალვას ახლადმოსულებზე
და შემდეგ მათ დაუძახა:

— ვასიკო, მიშიკო და ელიკო, მოგვიცადეთ,
ჩვენც მოვდივართ!

ძახილზე ვასიკომ მოიხედა, მხიარულად გაი-
ღიმა და შესდგა, ხოლო ელიკომ ნიშნის მოგებით
მოაძახა ჯოჯიკოს;

— რაღა მოცდა გინდა, ვაჟბატონო, მოსულ-
ხარ უკვეო — და გზა განაგრძო.

ვასიკო მიესალმა მეგობრებს:

— აბა, შალვა, შენ იცი, დღეს შენი მოხსე-
ნებაა! — მხიარულად ამბობდა ვასიკო და ყურადღებას
არ აქცევდა ჯოჯიკოს, რომელსაც ვასიკოსათვის
ხელი მკლავში ჩაეველო და ანჯღრევდა:

— ყური დამიგდე, დღევანდელ თავგადასა-
ვალს მინდა მოგიყვე.

— რა თავგადასავალია? — იკითხა ვასიკომ.


— უჰ, დიდი, ძალიან დიდი. მამა ვნახეთ,
მეზღვაურებს სინჯავდა, უცხოეთის გემი ვნახეთ და
ძია ანდრეა გავიცანით... შენ, ვასიკო ნუ დავაფიქ-
ვლებ, რომ ძია ანდრეა უცხოელი მეზღვაურია,
იტალიელია და მის ქვეყანაში, თურმე, პიონერები
ბევრნი ყოფილან.

— მართლა? — გაუკვირდა ვასიკოს.

— თუ არ გჯერა, შალვას ჰკითხე! —

შალვა ჯოჯიკოს დაემოწმა:

*) დასაწყისი იხ. „პიონერი“-ს № 16-ში.



— მართალია! — და სამივე — შალვა, ჯოჯიკო და ვასიკო — შეუდგენ მეორე სართულის კიბეს.

„ხეხილის ტანსაც მოვლა უნდა“.

სამაცადინო დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა და მასწავლებელი შემოვიდა.

მასწავლებელი მიესალმა მოწაფეებს.

მოწაფეები დასხდნენ.

მთელი ჯგუფი სულგაკმედილი ელოდა მოხსენების დაწყებას; ყველა მზად იყო; მზად იყო შალვაც, რომელსაც რვეულები მოემზადებია და გულისძგერით ელოდა სხდომის გახსნას.

მასწავლებელმა თვალი გადაავლო მოწაფეებს, ოღნავ გაიღიმა და განაცხადა:

— საქმეს შევეუდგეთ, ყმაწვილებო!

შალვა აღელვდა, აღელვებული გავიდა კათედრაზე და როცა დაიწყო მოხსენება, ხმა ცოტათი უთრთოდა, მაგრამ თანდათან შეეჩვია მდგომარეობას, ხმაც გაუსწორდა და მალე გაყუჩებულ დარბაზში მტკიცედ და გარკვევით ისმოდა მისი სიტყვები:

— ამხანაგებო, როგორც იცით, დღეს ჩემი მოხსენების საგანია ხეხილის მოვლა-მოშენება, — ამბობდა შალვა.

თავმჯდომარე წესრიგს თვალყურს ადევნებდა; მდივანი მკვირცხლად სწერდა; მოწაფეები გულისყურით ისმენდნენ მოხსენებას და შენიშვნებს იწვრიდნენ თავისთვის;

მასწავლებელი ხმას არ იღებდა.

ერთ საათს გაგრძელდა შალვას მოხსენება.

მან ილაპარაკა ხეხილის გაზრდა განვითარებაზე, ილაპარაკა ხეხილის წვენის აღმავალ და დამავალ მიმდინარეობაზე, იმაზე, თუ მიწიდან რას ისრუტავს ფსკვები და რა ჰკვებავენ ხეს;

შალვა შეეხა მსხმოიარობასაც.

მოხსენება კარგი გამოდგა: ყველაფერი გასაგები იყო და რომ მსმენელთ უფრო კარგად გაეგოთ ნაამბობი, ამიტომ შალვას რვეულში ცალკ-ცალკე დაეხატა ხის ფესვები, ფოთლები, ტოტები, ნაყოფი

და აგრეთვე მწერები და ბუხანკალები — მტერ-მოყვარენი ხისა.

აი, ამ სურათებს შალვა მოწაფეებს უჩვენებდა და მით თავის დებულებებს კიდევ მარტავდა, კიდევ ასაბუთებდა.

დასასრულ შალვამ დასკვნა გაუკეთა თავის მოხსენებას და განაცხადა:

— ხეხილის ტანსაც მოვლა უნდა! — მოხსენება გათავდა.

მასწავლებელს სახეზე კმაყოფილება და სიხარული ემჩნეოდა. მას უნდოდა სხდომა ხუთი წუთით შეეწყვიტა, მაგრამ მოწაფეები არ იყვნენ დადლილნი და თავმჯდომარემ სხდომა განაგრძო.

თანამომხსენებელმა მხოლოდ ორიოდ სიტყვა სთქვა: — ამხანაგ შალვას მეტი არაფერი გამოარჩენია და მე ვერაფერს დაუმატებო, — და დაჯდა.

ამის შემდეგ კიდევ სამმა მოწაფემ ილაპარაკა და შეიქნა კამათი...

ჯგუფი აღელვდა, ახმაურდა. თავმჯდომარემ ყურები სცქვიტა და წარბები შეიკრა; ხშირად ისმოდა მისი ზარი, ხშირად აწყვეტინებდა სიტყვას:

— ამის შესახებ ითქვა, ამხანაგო! —

— არაფერიც არ ითქმულა...

— ითქვა თუ არა

ამხანაგო მასწავლებელო? —


— ითქვა! — დემოწმა მასწავლებელი.

ჯოჯიკოს თავი დაეხარა და წერას ვერ ასწრებდა, ელიკო ხშირად შევლოდა მას.

დიდხანს იდგა დარბაზში ხმაური.

ბოლოს ისევ მომხსენებელი გამოვიდა; შეკითხვებზე მან ყველას ვასცა პასუხი და ჯგუფმა მოხსენების შესახებ დაადგინა:

— ვინაიდან ხეხილის ტანსაც მოვლა უნდა, ხოლო მოვლას ცოდნა სჭირდება, შრომის სკოლის მეოთხე ჯგუფის ყოველი წევრი შეეცადოს სოფლის მეურნეებსა და გლეხკაცობას დაეხმაროს და მიეშველოს თავისი ცოდნითა და გონივრული რჩევა-დარიგებით. მაცადინობა გათავდა. შრომის სკოლის მოწაფეები გამოვიდნენ ქუჩაში, და ქუჩა გაცხოველდა მათი ჟრიაპულით.



შალვა გავიდა კათედრაზე და დაიწყო მოხსენება.



„გულმა მითხრა“.

ელისაბედი დიდი ხანია დაბრუნებულიყო შინ, სადილი გაეკეთებია და შალვას უცდიდა.

ქვრივი ძველებს აკერებდა. მალე დერეფანში ნაბიჯები გაისმა და ფანჯრის მინაში გამოკრთა შალვას ქუდი.

— უი, დედა გენაცვალოს, — სიხარულით დაიძახა ელისაბედმა.

მან ძველები განზე გადასდო და მაგიდის გაშლას შეუდგა, თან შალვას გამოცდილი თვლებით გადახედავდა, მისი განწყობილება რომ გაეგო.

ელისაბედს არ გამოეპარა შალვას მხიარული გამომეტყველება, თუმცა ამასთანავე შენიშნა, რომ შვილი რაღაც მოსაზრებებში იყო ვართული და სიხარულს არ იმჩნევდა.

შალვამ იგრძნო, დედა რომ მიხვდა მის დღევანდელ გამარჯვებას და როცა სადილად დასხდენ, ელისაბედმა და შალვამ უსიტყვოდ იცოდნენ ერთიმეორის თავგადასავალი.

ქვრივმა მაინც ვერ მოითმინა და შალვას ჰკითხა:

— მომიყევი, შვილო, როგორ ჩატარდა შენი მოხსენება?

შალვა მოჰყვა.

არც აღელვებულა, არც წამოწითლებულა შალვა; დამშვიდებით უამბობდა დედას, თუ როგორი პასუხი გასცა ამხანაგებს, როგორი დადგენილება გამოიტანეს და, ბოლოს, როგორ შეაქო მასწავლებელმა.

არა, დედამ ხომ იცის, როგორი ძუნწია მოფერებაზე? ჰო და, აი, მასწავლებელმაც კი შეაქო...

— მეტი არაფერი, შვილო? — უნდოდ ჰკითხა ქვრივმა შვილს.

— მეტი არაფერი, — იტყუა შალვამ და წამოწითლდა.

— მიმაღავ, შვილო, მიმაღავ; კიდევ სხვა რაღაც გახარებს შენ, — დარწმუნებით სთქვა ელისაბედმა.

შალვა ამას არ მოელოდა...

არ მოელოდა შალვა, თუ დედა მართლა ყველაფერს მიუხედებოდა, და როცა დედამ მისი ფართულიც კი გაიგო, — გაოცდა და გაკვირვებით დაიძახა:

— კარგი, მაგრამ საიდან მიხვდი, დედა? —

— გულმა მითხრა, დედა გენაცვალოს, გულმა! ელისაბედმა გაიღიმა.

შალვა რამდენიმე ხანს გაოცებული იდგა. შემდეგ, თითქო რამ დააშავაო, შერცხვა და დედას აღერსით სთხოვა:

— მართალი ხარ, დედა, მაგრამ ჯერ ვერ გეტყვი.

დედის ოცნება.

შემოდგომა და მუდამ მოულოდნელად აღმდგა.

აი ახლაც...

დედა და შვილმა ისაბილეს, ელისაბედმა სუფრა ააღაგა, შალვამ წიგნი გაშალა, და ქვრივის ოთახში შემოვიდა ღამის სიბნელე.



შალვამ წიგნი გაშალა.

გარედან ფანჯარას ვიღაც მოადკა და დაიძახა:

— შალვა, შალვა! —

— მოვდივარ, — გამოეხმაურა გარეთ მდგომს შალვა, საჩქაროდ დაიხურა ქუდი და გარეთ გაიქცა, მხოლოდ დედას დაუძახა: — კრებაზე მივდივარო.

ქვრივმა თვალი გააყოლა თვის პირმშოს და დაფიქრდა, ხოლო როცა ფიქრობდა, გული გამალებით უცემდა. ის იღიმებოდა.

ელისაბედმა წარმოიდგინა დავაქაცვებული შალვა:

„ვნახოთ, კარგი კაცი შექმნილა შალვა; ბევრი უსწავლია, მაგრამ საქმე ის არის, რაც უსწავლია, ყველაფერს თავისი ხალხისათვის იყენებს.“

შალვას პატარა ამხანაგებიც კარგი კაცები დამდგარან და თავის ცოდნას თვის ქვეყანას ახმარენ.

ყველა იცნობს შალვას, და შალვა ყველას ეხმარება, მაგრამ ხშირად, როცა ერთი კაცი ვერ ერევა საქმეს და როცა დიდი საქმეებია გასაკეთე-

ბელი, მაშინ შალვასთან მოდიან ამხანაგები და ეუბნებიან:

— შალვა, კრებაზე წამოდი! და შალვაც ამხანაგებს მიჰყვება კრებაზე, ერთად რომ გადასწყვიტონ საკითხები და დიდი საქმეები გააკეთონ...“

ამგვარად ფიქრობდა ქვრივი დიდხანს, და მის ოთახში დიდი ხანია ღამე დასადგურებულიყო.

ქვრივი ისევ ფიქრობდა.

შემდეგ ცაზე ლევა ღრუბლებში გამოჩნდა მთვარე და თავისი თეთრი სხივებით მოადგა ქვრივის ფანჯარას.

ქვრივმა ფანჯარას შეხედა;

ფანჯრის მინებზე ცის ნამივით ციალებდა მთვარის სხივები და ელისაბედი შემოფოთებით წამოადგა, დაფაცურდა:

— უიმე, უიმე! — იძახოდა ქვრივი — ამდენი დრო გასულა და მე კი აქ ვოცნებობ.

სწრაფად გამოიტანა ელისაბედი ვარცლი და ახლადმოტანილი სარეცხის ჩაღობობას მიჰყო ხელი.

წინადადება.

ამ დროს შალვა კრებაზე იყო.

კრებაზე იყვნენ ჯოჯიკო, ელიკო, დათა, ვასიკო და სხვები. აქ იყო მოსეც.



ელიკომ წერილი ამოიღო და გადასცა ექიმს.

ოთახში ელექტრონის ღამფა ენთო; კედლებზე ეკიდა ბელოდების სურათები, კარგად გაკეთებული წარწერები, ეკიდა აგრეთვე მოწაფეების ნახატები, კედლის გაზეთი და ბევრი სხვა სურათი.

მაგრამ არც ამ სურათებს, არც სხვა რამეს არავინ არ აქცევდა ყურადღებას.

შალვას შემოეტანა ერთი წინადადება და ყველა ამ წინადადებაზე ფიქრობდა და მსჯელობდა. წინადადება იყო ასეთი:

— ამხანაგებო! დღეს მე და ჯოჯიკომ ერთი მოხუცი მეზღვაურისაგან გავიგეთ, რომ იტალიაში ყოფილან პიონერები...-

— მერე? — ეკითხებოდენ ამხანაგები.

— მერე და ისა, რომ, მოდი გავაბათ მათთან კავშირი; გავუზავნოთ მათ წერილი, ისინი გვიპასუხებენ და გაჩაღდება მიწერ-მოწერა.

ჯერ ყველას გაუხარდა; ყველა აღფრთოვანდა, მერე უცებ ყველა შეეჭვდა და ახლაც ეჭვობენ. ამხანაგები თავის ეჭვებს შეკითხვების სახით უზიარებენ შალვას, და შალვაც პასუხს იძლევა. ყველა ერთმანეთს უსმენს:

— კარგი, მაგრამ წერილს ვინ წაიღებს? —

— ძია ანდრეა! ის არ გავაწილებს.

— მოსე რას იტყვის ამაზე? მოსე ხელმძღვანელია და მისი დასტურია საჭირო.

— მოსეს არაფერი აქვს საწინააღმდეგო.

— წერილს ვინ დასწერს მათ გასაგებად? ან იქნებ იტალიელმა ბიჭებმა იციან ქართული? —

— არა, ქართული მათ არ იციან.

— მაშ ვინ დასწერს? —

შალვამ უპასუხა:

— წერილი ჩვენ შევადგინოთ ქართულად; მათ გასაგებად კი ვასიკოს მამა გადავითარგმნის.

ეს ჩინებული აზრი იყო; ტაში დაუკრეს, ახმაურდენ:

— ყოჩაღ! ყოჩაღ!

ჯოჯიკო ჩუმად გამოეყო ამხანაგებს, შალვას გვერდში მუჯლუგუნნი ჰკრა და ჩარჩურჩულა:

— შე ეშმაკო, სუყველაფერი შოგიფიქრებია. წინადადება ერთხმად მიიღეს.

შეადგინეს წერილი იტალიელი ამხანაგებისადმი; წერილში ჯერ ესაღმებოდენ შორეულ ამხანაგებს:

— თქვენი გამარჯვება, უცნობო ამხანაგებო! —

შემდეგ კი აუწერდენ თავის მდგომარეობას, თავის ყოფა-ცხოვრებას, წინსვლისა და სწავლის საქმეებს და გამოსთქვამდენ სურვილს მათი ნახვისა, მაგრამ უმთავრესია ის, რომ:

— ამხანაგებო, მოიწერეთ ამგვარივე წერილი და გვაცნობეთ თქვენი მდგომარეობაო! —

წერილის წაკითხვის შემდეგ დაადგინეს:

— ეთხოვოს ამხანაგ ვასიკოს მამას, ეს წერილი იტალიურ ენაზე სთარგმნოს; წერილი გავუზავნოს შორეულ ამხანაგებს.


კრება გათავდა.

ღელევატები.

მეორე დღეს ვასიკო, ელიკო და შალვა მიადგენ ექიმის სახლს.

ზარი დარეკეს.

ხმაურზე ექიმმა ფანჯრიდან გამოიხედა და სტუმრებს კარი გაუღო.



— რა ამბავია, ყმაწვილებო, ნუთუ ყველანი ავად ხართ?— კითხულობდა ექიმი;

მერე ვასიკო შენიშნა და გაიცინა:

— ა-ა, თქვენ დელეგატები უნდა იყოთ, როგორც ვხედავ...

ექიმმა სტუმრები ოთახში შეიპატიჟა და სკამზე დასვა.

— აბა, რას მეტყვი? — სერიოზული სახით სთქვა ექიმმა.

მოსულგებმა ერთიმეორეს გადახედეს: რომელმა დაიწყოსო.

დაიწყო ელიკომ:

— კოლექტივის დავალებით გთხოვთ ეს წერილი გვითარგმნოთ იტალიურ ენაზე...

ელიკომ წერილი ამოიღო და გადასცა, მაგრამ ექიმი რაღაც უცნაურად გამზიარულდა და სიცილი აუტყდა:

— პიონერების კოლექტივმა დამავალა?— იცინოდა ექიმი.

— ბიკო და, რომელი პიონერი მე ვარ, თქვე ცელქებო, სამოცი წლის კაცი! — ისევ იცინოდა ექიმი.

სტუმრები შეწუხდნენ, დაიბნენ. ვერაფრის თქმა ვერ მოახერხეს, მხოლოდ შალვამ ენადაბმით და ბოდიშის კილოთი უპასუხა:

— არა, პიონერი თქვენ არ ხართ! —

ამან უფრო გააცინა ექიმი.

დიდხანს იცინოდა, შემდეგ დამშვიდდა და წერილის კითხვას შეუდგა.

— ყოჩაღ! — უეცრად წამოიძახა ექიმმა, წერილს თვალი მოაშორა და დელეგატებს გადახედა:

— ეს კარგი შედგენილია.

ექიმი ისევ კითხულობდა წერილს და თანდათან ოცდებოდა და წერილისადმი მეტ ხალისს იჩენდა.

— მშვენიერი წერილი დაგიწერიათ, მშვენიერი, — იძახოდა ექიმი და დელეგატებს მხარზე ხელს უთათუნებდა. წერილი გადაიკითხა და თარგმნას შეუდგა.

კიდევ გადათარგმნა, კიდევ კონვერტში ჩასდო და ჩვენი მეგობრები ქებით გამოისტუმრა.

გამგზავრება.

მეშვიდე დღეს გემი დაიტვირთა მანგანუმით და წასასვლელად გაემზადა.

ნისლიანი ამინდი იყო. დამშვიდებული ზღვა ლითონისფერად ელავდა.

გემმა საყვირი აუშვა.

მეზღვაურები ბანზე საქმიანობდნენ; ვეებერთელა თოკები აჰკრიდეს და მანქანამ რახრახით ამოიღო ზღვიდან ღუზები.

შალვა, ვასიკო, ჯოჯიკო და მოსე შორიდან უცქეროდნენ გემის გამგზავრებას.

მათ სურვილი ჰქონდათ კიდევ ბევრი ესაუბრათ ძია ანდრეასთან, მაგრამ ეს არ შეიძლებოდა, რადგან გემის უფროსები ეჭვს აიღებდნენ და ძია

ანდრეას სამსახურიდან დაითხოვდნენ. ამიტომ ანდრეა გაჯავრებული იყო: მასაც უნდოდა საუბარი, ის ლა მოახერხა, რომ დღეს დილით მეგობრებს წერილი გამოართვა და დიდის მონდომებით უბეში შეინახა; თან უხაროდა მოხუცს და თანაც თავის ენაზე ფიცსა სდებდა:

— დეე, ბებერი ანდრეას ძეგლები ჩაცვინდეს ზღვაში, თუ მან თქვენ პასუხი არ მოგიტანოს.

შემდეგ მას შალვას ბინა აჩვენეს:

— თუ წერილი მოიტანოთ, აი, აქ მობრძანდითო! —

ანდრეა ძალიან კარგ გუნებაზე იყო, მაგრამ მას ხშირად აგონდებოდა თავისი ქვეყანა, სადაც მდიდრები ბატონობენ, და გული მოსდიოდა.

ახლა მოხუცი მეზღვაური ბანზე მუშაობდა და ცალის თვალთ ზვერადა თავის მეგობრებს.

გემმა ისევ აუშვა საყვირი, მილიდან ამოხეთქა კვამლი და ხომალდი აიძრა.

— მშვიდობით! —

— ნახვამდის! —

ხელს უქნევდნენ ახალგაზდები მეზღვაურებს და მეზღვაურებიც იღიმებოდნენ და ემშვიდობებოდნენ ჩვენს სანაპიროს.

გემმა სვლას უმატა, ნავსადგურიდან გავიდა და უცხოეთისაკენ გაემართა.

ვინ იცის?

გავიდა დრო.

შემოდგომა ზამთარმა შესცვალა; ზამთარში მოვიდა თოვლი, წვიმა და ქარი.

მერე თოვლი დადნა; უეცრად მზემ მიდამო გაანათა და ათბა.

დადგა გაზაფხული.

შალვა და მისი მეგობრები ამაოდ ელოდნენ უცხოეთიდან წერილის პასუხს...

პასუხი არ მოდიოდა. თითქმის ყოველ ახალ გემს ხვდებოდნენ ნავსადგურში, იქნებ ძია ანდრეა გამოჩნდესო, მაგრამ არ სჩანდა მოხუცი მეზღვაური, და ახალგაზრდებმა იმედი დაჰკარგეს.

ერთ კვირა დღეს განსაკუთრებით კარგი ამინდი შეიქნა.

მხურვალე მზემ გულუხვად გაათბო მიწა და ჰაერი; არ ჰქროდა ქარი და ახლადაყვავებული მწვანე ხეები ღონიერი ჭაბუკებივით იდგნენ ეზოებში და თვის საამო სურნელებას ავრცელებენ ირგვლივ.

შალვასთან მოვიდნენ ვასიკო, ჯოჯიკო და დათა.

ყმაწვილებმა ცოტაოდენი ითათბირეს და გადასწყვიტეს ტყეში წასულიყვნენ.

წავიდნენ ტყეში; თან საგზალი წაიღეს.

ელისაბედი შინ დარჩა. ქვრივს იამა, ახაგაზრდები რომ სასეირნოდ წავიდნენ, თორემ შალვა ამდენი ხანი თითქმის სულ შინ იჯდა, ანდა ნავსადგურში გარბოდა.

იცოდა ქვრივმა, წერილს რომ ელოდნენ ამხანაგები უცხოეთიდან.

ჯერ კი პასუხი არ იყო და შემდეგ რა იქნება, ვინ იცის?

ნებას ეს კაცი ვინ არის?

ახლადწასული იყვნენ შალვა და მისი ამხანაგები, ერთი მეზობელი რომ დაბრუნდა ნავსადგურიდან და ქვრივს ხუმრობით უთხრა:



მეზღვაური მხიარულად შეხვდა ბავშვებს.

— უცხოეთის გემი მოვიდა, ელისაბედ; შალვა სად არის, გაიქცეს, იქნებ წერილი მოუვიდათ! — ქვრივს მეზობლის კილო არ მოეწონა და პასუხი არ გასცა.

შუაღღე გადავიდა.

უეცრად დასავლეთიდან ქარი ამოიჭრა და მოწმენდილი ცა ღრუბლებით დატვირთა. იცოვებოდა ღრუბლებში, გავარდა მენი და დაუშვა შესაშურა წვიმა.

ელისაბედი შეწუხდა:

— არაფერი წაუღიათ საწვიმური, ვაი თუ გაცივდენ! — ფიქრობდა ქვრივი და თვალი ეზოსაკენ ეჭირა გამუდმებით, მაგრამ არაფერს მოდიოდა.

ქუჩაშიც არაფერს იყო; მხოლოდ ვიღაც კაცი მოდის, დიდი კაცი.

დიდ კაცს საწვიმური მოეხურა და ქვრივის ეზოსაკენ მოემართებოდა. ეზოში შემოვიდა.

— უთუოდ, ვინმე მეზობლის სტუმარია! — ფიქრობდა ქვრივი, მაგრამ კაცი პირდაპირ ქვრივის კარებს მოადგა და დაარახუნა.

ქვრივმა კარები გააღო და გაოცებული შესდგა. ის კაცი კი ილიმებოდა, გაუგებარ ენაზე რალცას ამბობდა და კვლავ ილიმებოდა.

— ნეტავ ვინ არის ეს კაცი, ან რა უნდა? — ფიქრობდა ელისაბედი და ვერაფერი ვერ მოეფიქრებია; ყური დაუგდო უცნობი კაცის საუბარს, თან ქართულადც ჰკითხა:

— ვინ გნებავთ? —

მაგრამ სტუმარს მისი არ ესმოდა, მას კი სტუმრისა.

ამ დროს შალვამ, ვასიკომ, ჯოჯიკომ და დათამ ჭიშკარი შემოაღეს და ეზოში შემოცვივდნენ.

წვიმას გამოექცია ისინი და სრულიად სოველნი მორბოდნენ.

შალვამ უცხო კაცი დაინახა და შესდგა. შესდგენ სხვებიც.

უცხო კაცმაც მათკენ გაიხედა და ყველას ერთხმად აღმოხდა:

— ანდრეა! ძია ანდრეა! —

მართლა ანდრეა იყო, ძია ანდრეა, მოხუცი მეზღვაური.

შალვამ ის გადაჰკოცნა. ძია ანდრემ დანარჩენები გულში ჩაიკრა; თავის ენაზე რალცას იძახდა და უბეში წერილს ეძებდა, შორეული ამხანაგების წერილს, რომელიც მას შალვასა და მისი მეგობრებისათვის მოეტანა.

წერილი ამოიღო და შალვას გადასცა.

— ვაშაა! — იყვირეს შალვამ, ჯოჯიკომ, დათამ და ვასიკომ.

მეზობლები გარეთ გამოვიდნენ.

— აბა, ამხანაგებო, წავიდეთ ვასიკოს მამასთან და წერილის შინაარსი გავიგოთ! —


მეზობლები გაოცებული იყვნენ:

— ერიპა, უცხოეთიდან წერილი მიუღიათ ჩვენს ყმაწვილებს! —

წვიმდა, მაგრამ მაინც მიდიოდნენ ექიმთან. ძია ანდრეა შუაში მიაბიჯებდა და თავის ენაზე ამბობდა მხიარული:

— მოგიკითხეს ამხანაგებმა, შორეულმა ამხანაგებმა!..

კ. სტეფანიშვილი.



იუ-იუ და იან-სი

(ჩინური სურათების ნაწყვეტები)

პაწია გოგონა იუ-იუ ნავსადგურის ახლოს იჯდა და გადამბრუნებულ ძველ ნავზე, თვალებზე ცრემლილი გადმოჰკიდებოდა მარგალიტის მძივებივით და ფერმკრთალ ლოყებზე უგორდებოდა; მისი პატარა გული ოხრავდა; ის გაჰყურებდა მწვანეტალღებიან ზღვას, ნავსადგურს, სადაც ახლა იდგენ უდიდესი გემები უცხოელების, რომელთა ბაქანიდანაც გამოიყურებოდნენ პირდღებულები ზარბაზნები ნაპირისკენ; ყველაზე სხვადასხვა ფერის ბაირაღები ფრიალებდნენ და დადიოდნენ მეზღვაურები, ისმოდა მისთვის გაუგებარ სხვადასხვა ენაზე ბრძანებები, ხმაური, სიცილი... ქალაქიდან კი ისმოდა რაღაც ყრუ გუგუნის, შორეული ჩინეთის გულიდან ისმოდა ჩუმი რისხვა; ჩინელები ვილაცას ემუქრებოდნენ; ხანდახან ისე შეინძრებოდა იქაურობა, თითქოს დედამიწა იძვრისო: ეს შორს, ბრძოლის ველზე, ზარბაზნების ქექა-ქუხილია, ალბათ, რომელიც ჰაერს ანძრევს, ცის ლაქვარდოვან ვთერს შავი ბოლით ჰბურავს...

აქ კი მზიანი დილაა. ზღვის სანაპიროები გაზაფხულის მწვანე ფარჩით იმოსება, ყვავილების სურნელება ნიავს მოაქვს ანცი ქროლვით და იუ-იუს იტაცებს იქით სანავარდოდ, მაგრამ ის სწუხს, ის მარტოა, ობოლია; მისი მოსიყვარულე მამა, რომელიც ამ ერთი თვის წინათ აქ ჰუშაობდა, ნავსადგურში, აღარაა ცოცხალი: ის ჯარისკაცებმა მოჰკლეს სხვებთან ერთად ამ სამი კვირის წინათ, როდესაც ისინი მიადგნენ ჯარების სარდლის შტაბს და წინაღობით ჩამორთმეულ იარაღს სთხოვდნენ უკან; მისი მამაც წითელგვარდიელი იყო, ამ ჯარისკაცებთან ერთად იბრძოდა, ამ კანტონელებთან, შანდუნელების ჯარის წინააღმდეგ, და რა ისინი გარეკეს, კანტონელები მოუბრუნდნენ და თავის მშველელ მუშებს დაუშინეს ტყვიები...

ახლა კი იუ-იუ ობოლია, არავინა ჰყავს; დედა აღრევე მოუკვდა მას და მამას დასდევდა ხოლმე აქ; მას გაახსენდა ყველა ეს სურათი, გული ამოუჯდა და, აი, ასეთ წუთს იყო, რომ მათი მეზობლის ბიჭუნა იან-სი წაადგა თავს, დაეხმაურა, მიუალერსა:

— აქ რათა ზიხარ, იუ-იუ? მე კი ყველგან გეძებდი და ძლივს მოგაგენი აქ... აი, პური მოგიტანე... შენ რომ დედას გამოეპარე ჩვენგან, მე შევწუხდი და დედიკომ პური რომ მომიტეხა, ნახევარი შენთვის შევინახე... დედა სწუხდა, რომ იქ ვე-

ლარ გნახა, არსად დაიკარგოსო... — და ამ სიტყვებთან ერთად გვერდზე მოუჯდა, უბიდან პური ამოიღო, გაუწოდა...

— მე აღარავინა მყავს, იან-სი, მე... აი, შენ-ლა თუ მიგდებ ყურს... — უპასუხა იუ-იუმ და ჰკვიანინი, ნამტირალევი ლურჯი თვალები შეენათა...

ქალაქი კი ხმაურობდა. ჩინელ ჯარისკაცებთან ერთად დადიოდნენ ინგლისელი, ინდუსი, იაპონელი და ამერიკელი ჯარისკაცები, ქოჩების ყოველ კუთხეში იდგნენ დარაჯად; ჩინელ მუშებს არ ატარებდნენ აქეთ; ყოველ გზაჯვარედინზე ბარიკადები აეგოთ; ტყვიამფრქვევები იდგნენ და ელოდნენ ვილაცას... ჩინელებს ხელის ეტლებით დაჰყავდათ უცხოელები; ხშირად ისინი სიგარის წვეთით გადმოხედავდნენ ამ ორ პატარა მეგობარს და გადაიხარხარებდნენ, რაიც იუს ვაკვირვებას იწვევდა და იან-სი კი, რა ისინი გაცდებოდნენ ამათ, მუშტს უჩვენებდა მუქარით...

— რათ იცინიან, იან-სი, ან რათ ემუქრები? შეეკითხა იუ-იუ...

— მამა მეტყვის ხოლმე, ყველა ეგ უცხოელები ჩვენი მტრები არიანო, ჩვენს ქვეყანას სძარცვენო და ჩვენ კი გვაძულებენ, მონობაში გვანყოფებენ, ადამიანად არა გვთვლიანო... მაგათი ქვეყნები აქედან შორსააო და აქ რა უნდათ მაგ ჯარებსაო... ჩვენი მდიდარი ხალხი, ვაჭრები და მანდარინებიც მაგათ მხარეზე არიან, რომ მაგათი დახმარებით ჩვენ მონობაში გვიყოლიონო, თავისუფლება არ სურთ მოგვცენ და ჩვენ იმიტომ ვიბრძვითო... ესლა ჩვენი ლაშქრის გენერლებიც მიიმხრეს და მოგვისიესო... შენ რომ გაიზრდები, ეს კარგად დაიხსომე და იბრძოლე მათ წინააღმდეგ, დახოციო ჩინელების შური იძიე, ერთადერთი ხალხი, ეს საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხია, რომელიც ჩვენა გვშველისო, და იმათი მადლობა მუდამ გულში ატარეო... — ეუბნებოდა იან-სი იუ-იუს თავისი მამის სიტყვებს. თუმცა არც ერთ მათგანს არ ესმოდა ამ სიტყვების მნიშვნელობა მთლიანად, მაგრამ ის კი კარგად იცოდნენ, რომ ეს უცხოელები აქ, შანხაიში, რომ არიან და ჩინეთის სხვა ქალაქებში, ჩინელი მუშების და გლეხების მტრები არიან: აწვალებენ, სცემენ, დასცინიან, ხოცავენ...

ესენი აქ რომ ლაპარაკობდნენ, მთავარი ქოჩიდან მოვსმათ ხმაური, რევოლუციონური სიმღერა,

სამგლოვიარო მარში, ჩინური ეროვნული ჰიმნი... მოდიოდნენ მუშები, ქალები, ბავშვები წითელი დროშებით, სხვადასხვა მოთხოვნათა ლოზუნგებით, მაგრამ წინ ჯარი გადაედობა, თოფები მზადა დასაქებად, ტყვიამფრქვევები ბაფთა (ლენტა) გამზადებული მისჩერებიან და ბრძანებას ელიან...

— რა ამბავია, იან-სი? ხომ არ უნდა დახვრიტონ კიდევ? — შეეკითხა იუ-იუ, რომელსაც შიში დაეტყო და ფეხზე წამოდგა...



აი, პური მოგიტანე.

— არ ვიცი, იუ-იუ, დახვრეტენ თუ არა, და ის კი ვიცი, რაღაც დღეობაა მშრომელი ხალხისო, მამაც იქ წავიდა დილას... პირველმაისობააო. — მიუგო იან-სიმ, ადგა და თვალთვლება დაუწყა შორს, იქნება მამა ვნახოო...

იქიდან კი ისმოდა ხმაური, ლაპარაკი; ერთი სტუდენტი მაღლობზე ასულიყო და რაღაცას ქადაგებდა, ჩინელების პოლიციელები მიესიენ და რა იმისი დაპატრირება უნდოდათ, ხალხი შემოაგვია, არ ანებებდა; გაიმართა ხელჩართული ჩხუბი, პოლიციელებმა იარაღი იშისვლეს, დაერიენ; სტუდენტი ხალხში მიიმაღა და მის მაგიერ ვიღაცა შუატანის მუშა ავიდა, ის ხალხს მოუწოდებდა ხმამაღლი თქმით წინააღმდეგობაზე; ის თითქოს ეცნობა ბავშვებს, უფრო კი იან-სის, ის ხედავს მოლაპარაკეს...

— მამა!!! — ყვირის ის, რა იცნო თავისი მამა, იუ-იუს ხელს ჩაჭიდებს და გარბის, მაგრამ შუაში უცხოელი ჯარისკაცების ბარიკადებია, არ ატარებენ, დასცილიან; იან-სის ჯავრი მოსდის, ეხვეწება, რომ ის გაატარონ მამასთან, მაგრამ ვინ უგდებს ყურს, ყველას იქით მიუშვებია თოფის ლულა, გუშავი თოფის კონდახის კვრით აგდებს აქეთ; იან-

სის პატარა მუშტები იკუმშება, ბოღმა ყელში სვეება, თანაც მამის ხმა ახლა უფრო გარკვევით ესდის. ის ჰქუტხს:

— ამხანაგო მუშებო, ჩინეთის მშრომელო ხალხო, დღეს პირველი მაისია, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დღესასწაული, და არც ჩვენ უნდა ჩამოვრჩეთ ამ ზეიმს; ჩვენ დღეს ვგლოვობთ ამასწინათ დახვრეტილ ჩვენს ძმებს, და ამავე დროს ჩვენი რისხვა მიიმართება ჯალათების წინააღმდეგ; ჩინეთის ხალხი იბრძვის თავისუფლები-სათვის და უცხოელების ბატონობის წინააღმდეგ, ჩვენ მუდამ წინა ბარიკადებზე უნდა ვიყოთ, ჩვენ არ უნდა დავინდოთ ჩვენი შინაგანი მტრებიც — გენერლები, ჩვენ უნდა შევქმნათ ნამდვილი მშრომელთა სახელმწიფო და სათავეში დავაყენოთ მუშათა და გლეხებისგან არჩეული მთავრობა, მსგავსად ჩვენი მეგობარი საბჭოთა კავშირისა; რომლის ძმური დახმარების ხელი მუდამ ჩვენსკენაა გამოწვდილი; ჩვენ მათგან უნდა ავიღოთ მაგალითი როგორც ბრძოლის, ისე ახალი ქვეყნის

შექმნის, რომ ასე კი არ გვიხდებოდეს ჩვენი დღეობის, პირველმაისობის, ზეიმი, როგორც ახლა, უცხოელ და ჩვენივე თანამოძმე, მაგრამ სიბხელის გამო გენერლების მონა ჯარისკაცების მიერ ალყაშემორტყმულებს; არამედ ისე, როგორც იქ, შორეულ დიდ მუშათა პირველ ქვეყანაში, საბჭოთა კავშირში... ძირს ჯალათები! გაუმარჯოს თავისუფლებას! — გაჰკვივის იან-სის მამა, და ხალხიც ასევე უპასუხებს; იან-სი და იუ-იუ უყურებენ ამ სურათს, უნდათ იქ მისვლა, მაგრამ გზა შეკრულია; აგერ მოლაპარაკეს კვლავ მიესია პოლიცია, აქით მხრიდან კიდევ ჩინელი ჯარისკაცები გამოჩნდნენ; იან-სი ხედავს, მის მამას როგორა სცემენ, და ვინც მას მიეშველება, მასაც ასევე. ის აღარ ებუღება ინდუსი ჯარისკაცის გაფრთხილებას, ბარიკადის გვერდზე ძვრება, იუ-იუსაც თან მიათრევს ხელდაჭერილი... აგერ ქვას წამოავლო ხელი და გარბის კრებისკენ, ის ყურადღებას არ აქცევს უკანიდან გაფრთხილებას და მუქარას, მაგრამ ეს რა ხდება? რათ დაბარბაცდა? თვალები რათ აემღვრა, რატომ ბნელდება? ეს ხალხი რათ გარბის ყვირილით, წყევლით, მუქარით? რატომ ზუზუნებენ რაღაცები ბუზებივით და რა კაკანებს? თოფები? ტყვიამფრქვე-



ვები? რათა? რისთვის?.. ირევა ეს ფიქრები იან-სის გონებაში... რატომ მოხვდა ვილას ფეხი, რათ ეტკინა? ან იუ-იუ სადაა?—არ იცის იან-სიმ, რა ხდება; პოლიცია და ჯარი კი ერეკება ხალხს ცემით, ჰაერში სროლით... მაგრამ ეს სისხლი რაღაა, დაჭრილებს რომ სდით? რა ამბავია... ბავშს ვერ გაუგია, რა მოხდა ასე სწრაფად...

— იუ-იუ, სადა ხარ?—უძახის მეგობარს და ხელებს შლის მოსახვევნად...

— იან-სი, აქა ვარ, შენთან; მე არ დაგტოვებ აქ, აღე...—მიუგო იქვე მასთან ახლოს დაჩოქილმა გოგონამ და შეეშველა ადგომას, მაგრამ იან-სი ფეხს ვერ სძრავს, კოჭლობს, სისხლი სდის...



— დაჭრილი ვარ?—ეკითხება ის იუ-იუს.
 — არ ვიცი, სისხლი კი გდის...—მიუგო მან.
 — აბა, მიშველე შეხვევა...—უთხრა იან-სიმ იუ-იუს და პერანგის ჩამოხვევა უნდოდა, მაგრამ იუ-იუმ არ დაანება.

— აი, ამით შეგიხვევ...—უთხრა მან და მამისეული ბაღდადი მოიხსნა კისრიდან, შეუხვია... მაგრამ იან-სი მაინც ვერ იძვრის. მხარში შეუდგა, ღონე არ ჰყოფნის, წვალობენ... ბარეკადის იქიდან კი ჯარისკაცები იცინიან; იან-სი მუშტებს აჩვენებს მუჭარით; ხალხი ზოგი გარბის, ზოგი პოლიციას და ჯარს ემუქრება, არ ნებდება... აგერ იან-სის მამა და სტუდენტი გამოატარეს დაჭერილი, სხვებთან ერთად...

— მამა!—შეჰყვირა იან-სიმ, რომელიც იხმოზდა საშველად, მაგრამ ის შებოქილია, ნებას არ აძლევს შეიღოს მიეშველოს...

— შეილო, იან-სი, გახსოვდეს, რასაც გარეგებდი ხოლმე, —უძახის მამა.

— მამა, მახსოვს!..—ეუბნება აქედან იანსი და თან სუსტდება, სისხლიდან იცლება...

— შეილო, რა მოგდის?!—ეკითხება მიმავალი მამა, რა ამ სურათს უყურებს. მისი მშობლიური გული ხედავს, გრძნობს რაღაცა უბედურებას იან-სიზე...

— ძია, ჰან-ჰაო, იან-სის სისხლი სდის... აი... უძახის იუ-იუ იან-სის მამას, რომელსაც, თუმცა შორს იყო, მაგრამ მაინც მოესმა. თითქოს თავში კეტი დაჰკრესო, ჰან-ჰაო დაბარბაცდა, შესდგა...

— რაო? იან-სის სისხლი სდის? მაშ დაჭრილია?! ჯალათებო, სისხლის მსმელებო, ბავშსაც არ ინდობთ?!—და რა უნდოდა მუშტები აღეშარათა ჯარის-

კაცზე, გამყოლმა დარაჯმა უკანიდან კონტრაქტორს წინ წაიგდო. მისი გაძალიანება უშედგო იყო, თავბრუდასხმული, დარეტიანებული სტუდენტს მიეყრდნო, კბილები გააკრაქუნა, მუშტი გულში დაიკრა...

— ჯარისკაცებო, ამხანაგებო, ვის გვებრძვით, თქვენსავე ძმებს? ვისთვის? რისთვის? რა შვრებით,



მხარში შეუდგა.

გამოფხიზლდით, ეგ თოფები მიაბრუნეთ თქვენი გენერლებისკენ!—ეუბნება სტუდენტი, მაგრამ ჯარისკაცები, უუფლებობით შეშინებულნი, ხმას ვერ იღებენ, ჩუმად, თავჩალუნული მისდევენ. ეტყობა, ეს სიჩუმე მომასწავებელია მომავალი მათი ქარიშხლის, აჯანყების...

ქალაქი თითქოს მიყუჩდა, მაგრამ ზღვის პირას, განაპირა უბნებში, მაინც ხმაურია...

ერთმანეთში ირევა ჩინელი პოლიცია, ჯარისკაცები, უცხოელი ფერადი ჯარები, მხედრები, ჯავშნიანი ავტომობილები, ტანკები, არტილერია; ზღვიდან გამანადგურებელი ვეშაპი კრეისერები, დრედნოუტები პირდაღებულნი ხარბაზნებით ემუქრებიან ქალაქს, რომელსაც თავზე დასტრიალებენ ჰაეროპლანები...

სალამო მოახლოვდა; შეჩერებულია ყველაფერი ხვალინდელი დღის მოლოდინში. იუ-იუ და იან-სი კი ნელა მიაბიჯებდნენ ერთ ვიწრო ქუჩაზე. რა უპატრონოდ ნახა ვუო-ინ-გომ, იაპონელთა ერთ-ერთი კამპანიის ქარხნის მუშამ, მიტინგის გაფანტვის შემდეგ, წაიყვანა თავისთან; იან-სის ტყვიით გაკაწრული არა საშიში კრილობიანი კანკი მობანა, ახლად შეუხვია და მიაცილა სამშვიდობო უბნამდის, სადაც უფრო სიწყნარე იყო...

— ახლა კი წადით, ჩემო პატარებო, და მე კი საქმე მაქვს...—უთხრა მან ბავშვებს, და მართლაც გასწვია იმ საიდუმლო კრებაზე, სადაც ჩინეთის კო-

მუნისტური პარტიის, ამ ქალაქის ორგანიზაციის, თა-
ოსნობით მუშავდებოდა მომავალი ფარული მუშაო-
ბის გეგმები...

ქუჩებში ხშირად შეხვდებოდით ორ პატარა
ჩინელს, რომლებიც ვითომც მათხოვრობდნენ, მაგ-
რამ ნამდვილად კი ზვერავედნენ უცხოელების მოძრა-
ობას, ჯარს, მხადებას და ატყობინებდნენ ვუო-ინ-
გოს...

იუ-იუ და იან-სი სულ იმას ნატრობდნენ, რომ
მალე გაზრდილიყვნენ, და შური ეძიათ მტრებზე;
იმათ იცოდნენ, ხშირად გაუგონიათ, რომ მთელი

მსოფლიოს მშრომელთა ბავშვები მათ დაეხმარებიან,
განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირის ბავშვები...

— ჩვენ მეორე პირველ მაისს, საგაისოდ, უფ-
რო სხვანიარად ვიდღესასწაულებთ, ჩვენ უნდა გვი-
ყვარდეს პირველი მაისი, ჩვენი მშობლების და ყვე-
ლა მშრომელის დღესასწაული, — ეუბნებოდა იან-სი
იუ იუს...

— პირველი მაისი... გაზაფხული... ყვავილე-
ბი... მზე... — ამბობდა იუ-იუ ღიმილით და ცისფერ
თვალებს მიაპყრობდა მეგობარს...

ს. ერთაწმინდელი.



პიონერთა გასამხედროება: ეცნობიან გაზის საწინააღმდეგო თავსაბურების ხმარებას.



შინ დაბრუნება.*)

როცა აკპაი და აიმანისი დაბრუნდნენ შინ სანადიროდნ, მათ დაინახეს პაიდორა, რომელიც თითისტარით ართავდა ძაფს.

აკპაიმ აღერსიანად მოუსვა თავზე ხელი აიმანისს და შეეკო, როგორც მომავალი მონადირე. ბავშვს ძალიან ესიამოვნა მოხუცის ქება;

პაიდორამაც მიუაღერსა აიმანისს. სიხარულით აღტაცებულმა აიმანისმა დაწვრილებით უამბო პაიდორას ნადირობის ამბავი; როცა მან დაამთავრა, პაიდორამ ღიმილით შეხედა მას და მოუყვა ზღაპარს:

დიდი ხნის წინათ, როცა არცერთი ჩვენთაგანი არ ცხოვრობდა დედამიწაზე, ალტაიში გაჩნდა დიდი ხანძარი. ხანძარი ანადგურებდა კარვებს, ტყეებს, ცხენებს, ცხვრის ფარას; სიცხისაგან მდინარეებიც დუღდა. კვამლი აღიოდა ცამდე, მისი დანახვა შორეული ჩინეთიდანაც შეიძლებოდა. ყველა ცდილობდა გადაერჩინა თავი და უგზოუკვლოდ გარბოდნენ მთებში.

მწყემს ოლონ-ბირას დიდი ოჯახიდან გადარჩა მხოლოდ ორი ბავში,—გოგო და მისი უმცროსი ძმა. გადარჩა კიდევ ერთი კვიცი. ბავშვებმა წაიყვანეს კვიცი და გაიქცენ.

მათ დიდხანს იარეს, საშინლად მოშივდათ.

რაც უფრო შორს მიდიოდნენ, უფრო უძნელდებოდათ სიარული. გზას ბოლო არ უჩანდა. ირგვლივ უზარმაზარი მთები იყო აზიდული; გამოსავალი არსაიდან სჩანდა.

— რატომმა მთები ასე დიდები და ჩვენ ასე პატარები?—ეკითხება ბიჭი.

— შეჯექი ცხენზე და შენც დიდი იქნები,—უპასუხებს გოგონა. ბიჭი შეჯდა ცხენზე. მან იგრძნო ცხენის სხეულის სითბო და სითბოსთან ერთად ძალაც მოემატა. გოგოს ხელში უჭირავს ცხენის აღვირი და ფიქრობს: „მაღე დაღამდება და თავს დაგვესხმიან მგლები“. ბიჭი კი ფიქრობს: „არ მესინია მგლების, მე ახლა დიდი და ღონიერი ვარ“.

სალაპოთი ისინი შეჩერდნენ ლურჯ მდინარესთან, უზარმაზარი ალვის ხის ქვეშ. უეცრად მათ დაინახეს: ალვისხიდან ჩამოვარდა ფოთოლი და შავ ჯავშნად გადაიქცა: შემდეგ ჩამოვარდა მეორე ფოთოლი, რომელიც შვილდ-ისრად გადაიქცა. მერე მესამე—რომელიც გადაიქცა ფოლადის თეთრ მახვილად, მეოთხე ფოთოლი კი გადაიქცა ვერცხლის უნაგირად.

ბავშვები უცქერიან ამას, უხარიათ და იცინიან — ახლა კი არაფერი გვიშავს!—ეუბნებიან ისინი ერთმანეთს.

როცა მდინარესთან წყლის დასაღვეად მოიბინა შავმა თხამ, ბიჭმა მარღად სტყორცნა მას ისარი. მოკლული თხის ხორცი შესქამეს და ტყავი კი ტანისამოსად გამოიყენეს.

ღილით მთები გაირღვა და ბავშვები წავიდნენ ფართო გზით იქ, სადაც მოსჩანდა მშობელი ხალხის კარვები და ცხვრის ფარა.


ოკრატის წარსული და აწმყო.

ძალიან გრძელია ზამთრის ღამეები ალტაელთა კარავში. ამიტომ უყვართ მათ დროს გატარება სიმღერებით და ზღაპრებით.

კარავის შუა ადგილას გაჩაღებულია ცეცხლი, რომელიც სასიამო სითბოსა და სინათლის მკრთალ სხივებს აფრქვევს. ცეცხლს ირგვლივ შემოსხდომიან ზამთრის ყინვისაგან გათოშოლი ალტაელები და უამბობენ ერთმანეთს ზღაპრებსა და წარსულის ამბებს.

აიმანისს ძალიან უყვარს ესეთი ღამეები. მას აგონდება მშობლიური ბინა, თავისი დედა, მამა, ცხვრის ფარა და ცხენები. ის ფიქრობს: „გავიზრდები და კვლავ წავალ მშობლიურ მხარეში—ჩუიის ველებში. კარგია ნადირობა, თევზაობა, მაგრამ ყველაფერზე უკეთესია ცხენებისა და სხვა საქონლის ჯოჯის მწყემსობა“.

*) დასაწყისი იხ. „ბიონერი“ № 16.



ერთხელ აკაის ესტუმრა მოხუცი მულტუკი. აიმანის გაუხარდა მისი გაცნობა. მულტუკს მთელი ალტაი ფეხით აქვს შემოვლილი. მან იცის ყველა ალტაური სიმღერა და ლექსი. აიმანის ყველაზე უფრო მოსწონს ის ლექსი, რომელშიც ალტაელები სიამოვნებით იგონებენ შორეულ წარსულს, როცა ალტაი თავისუფლად ცხოვრობდა, რუსების მოსვლამდე.



პიონერები ბანაკად წაღვერში. კარავს აწყობენ.

მულტუკი ჩამოჯდა ცეცხლის პირას, ღრმად ჩაფიქრდა და ჩახლეჩილი ხმით დაიწყო სიმღერა. ჯერ მხოლოდ დიღინებს, შემდეგ ნელ-ნელა უმატებს ხმას, ბოლოს კი შემოსძახებს თავის საყვარელ სიმღერას დიდი ალტაის შესახებ.

„... როცა ალტაის მადლიდან უცქერ, ალტაი გგონია სამკუთხოვანი, თუ მას შეხედავ მხოლოდ გვერდიდან, ის გეჩვენება ცხრაკუთხოვანი; თუ მას გასცქერი მთის ფერდობიდან, გიტაცებს ქედნი ურიცხოვანი“.

მულტუკი ერთი წუთით შესწყვეტს სიმღერას; ბავშვს აგონდება ფართე ველები, რომლებიც გაქიმული არიან მაღალი ქედებიდან. მომხიბლავია ეს ურიცხვი ქედი, რომელნიც ერთმანეთზე არიან გადაჯაჭვულნი.

მულტუკი ისევ დადუმდება, აიმანის კი კვლავ აგონდება მის მიერ ნაამბობი, თუ როგორ მოვიდნენ რუსები ალტაიში, თუ როგორ სჭრიდნენ და სწვავდნენ ტყეს. მას შემდეგ შემცირდა ძვირფასი ბეწვიანი ნადირები. რუსებმა შემოღობეს ველები; ალტაელმა მეჯოგეებმა იგრძნეს მიწის სივიწროვე.

„მომხიბლავია შენი ქედები, შენი დუმილი მთების წინაშე, ალტაი, ცისკენ არ იხედები, ხარ გაგუდული ღრუბლის ბინაში“.

მულტუკი კვლავ დადუმდება; მცირე ჩაფიქრების შემდეგ იგი ბავშვს უამბობს იმ ალტაელთა მამაკობაზე, რომელნიც უცხოელებს ნებით არ უთმობდნენ თავიანთ მიწაწყალს.

მულტუკს არ ახსოვს მათი სახელები, მაგრამ კარგად ახსოვს, თუ სად ცხოვრობდნენ ისინი. ახსოვს, თუ როგორ სდევნიდნენ მათ და როგორ აწამებდნენ ციხეებში.

შემდეგ მულტუკმა აიმანის უამბო, რომ წავიდა ის შავ ბნელი დრო, როცა ციხეებში აწამებდნენ იმათ, ვისაც უყვარდა თავისუფლება. ახლა დრო შეიცვალა. მულტუკი ზაფხულში ჩავიდა ულალაში. ულალა დიდი სოფელია, იქ დიდი სახლებია, იმ სახლებში ხალხისათვის მეტად სასარგებლო საქმეს აკეთებენ. ძლიერი იყო რუსეთის მეფე, მრავალი ხალხი დაიმონა მან, მაგრამ ხალხი უფრო ძლიერი გამოდგა მეფეზე ხალხმა ვეღარ მოითმინა შევიწროება და ტანჯვა; მოხდა ხალხის დიდი ამბოხება, ხალხმა გაიმარჯვა და განდევნა მეფე. როცა მართველობა ხალხმა ჩაიგდო ხელში, მაშინ ყველა მიხვდა, რომ უსამართლობაა ერთმა ერმა დაჩაგროს მეორე ერი. ახალმა მთავრობამ გადასწყვიტა დაებრუნებია ალტაისათვის საკუთარი მართველობა.

საბჭოთა მთავრობამ დიდ ქალაქში — მოსკოვში — გადასწყვიტა შეიქმნას ალტაელების დამოუკიდებელი ოლქი, მიენიჭოთ მათ თავისუფლება და როგორც სურთ, ისე განაგონ თავიანთი ქვეყნის ბედი.



პიონერთა ბანაკი წაღვერში. ემზადებიან სადილის საჭმელად.

— მე ვნახე, — ამბობს მულტუკი, — ჩვენი ორბრტყი ალაგიზოვი. დააარსეს აღმასკომი მთელი ჩვენი ოლქის მართველობისათვის და ალაგიზოვი აირჩიეს თავმჯდომარედ. ჩვენი იორბრტყი ახლა მთელი ალტაის უფროსია. მთელი ჩვენი ბედ-იღბალი, ჩვენი მართვა-გამგეობის საქმე ახლა ჩვენს ხელშია; ჩვენ უნ-

და ავაშენოთ სკოლები, გავიყვანოთ გზები და გავაუმჯობესოთ ჩვენი საქონლის ჯიში.

ამისათვის კი საჭიროა ნასწავლი ხალხი. ჩვენს ბავშვებს ასწავლიან სკოლებში. აი, შენც, აკაი,— აიმიანის სკოლაში უნდა მიაბარო.

— მართალია,— სთქვა აკაიმ,— აიმიანის სკოლაში უნდა გავგზავნო.

— ჩულიშმაში, სადაც წინათ ძველი მონასტერი იყო, მოაწყვეს ინტერნატი ობოლი ალტაელი ბავშვებისათვის; გაგზავნე იქ აიმიანისი. დეე, ისწავლოს. ჩვენ, ალტაელებს, ძალიან გვესაჭიროება ნასწავლი ხალხი, რომ ჩვენ თვითონვე მოვაწყვოთ ჩვენი ცხოვრება.

აიმიანისმა ყურები დაცქვიტა. მოხუცებმა ბევრი ილაპარაკეს სხვადასხვა საქმეზე; ბოლოს გადასწყვიტეს, რომ აკაი წაიყვანდა ბავშს ინტერნატში.

აიმიანისის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

მეორე დღეს შეკაზმეს ცხენები და აკაიმ აიმიანისი სკოლაში წაიყვანა. ჰაილორამ მას თან გაატანა ნამცხვრები და გამომშრალი ყველი.

ოირატის სკოლაში.

გზა ჩულიშმანის ხეობაზე მიდიოდა. ბილიკი ზოგან გველივით იკლაკნებოდა ფართო თეთრ ველებზე, ზოგან კი უდაბურ ტყეში იჭრებოდა. მარჯვნივ აღმართული იყო დაქანებული ქედები. ქედებზე ვერცხლისფრად გამოიყურებოდა გაყინული ჩანჩქერი.

აიმიანისს ენანებოდა, რომ შორდებოდა აკაის, შეჩვეულ ცხოვრებას. მას ჯერ ღამე არ გაეთია რუსულ ქობში.

ისინი მიუახლოვდნენ მდინარის ნაპირს. ალვის ხის ტოტების იქით დაინახეს რამოდენიმე ხის შენობა. რევოლუციამდის აქ იყო ჩულიშმანის მონასტერი, ახლა კი სკოლაა გამართული. ისინი შევიდნენ სკოლის ეზოში, ჩამოხტნენ ცხენებიდან, ცხენები დააბეს ბეღელთან და წავიდნენ მასწავლებელთან. მასწავლებელი ალტაელია.

აკაიმ მასწავლებელს უამბო, თუ როგორ მივიდა მასთან აიმიანისი. აიმიანისი ობოლია. მას არ ჰყავს არც დედა, არც მამა; მოხუცმა აკაიმ და მისმა ცოლმა ჰაილორამ ის იშვილეს. კარგი ბავში გამოდგა შვილობილი...

დიდხანს უამბობდა მოხუცი მასწავლებელს აიმიანისის თავგადასავალს მის კარავში. ბოლოს მასწავლებელმა სიტყვა შეაწყვეტინა და ჰკითხა ბავშს:

— ძალიან გულით გინდა სწავლა?

— მინდა,— უპასუხა აიმიანისმა.

— მაშ კარგი, წავიდეთ კლასში, შენ კი, მოხუცო, წადი შენ, აიმიანისი ჩვენთან დარჩება.

აიმიანისი გამოეთხოვა მოხუც მამობილს. აკაი შეპირდა მას, რომ ხშირად ინახულებდა. აიმიანისს უნდოდა ეზოში გაეცილებია აკაი, მაგრამ მასწავლებელმა შეაჩერა და უთხრა:

— წამოდი ჩემთან.

აიმიანისს არ ახსოვს, როგორ შეპყვა მასწავლებელს კლასში.

მას სიზმარში ჰგონია თავი. ის ხედავს თხუთმეტამდე ბავშს, რომელნიც ერთნაირ ტანსაცმელში არიან გამოწყობილი. ბავშვები სხედან, როცა მათ მასწავლებელი დაინახეს, წამოხტნენ ზეზე და დაიწყეს ხმაურობა. მასწავლებელმა ისინი დააწყნარა. მოწაფეები დასხდნენ. კლასში დუმილი ჩამოვარდა. მეორე მასწავლებელმა, რომელიც კლასში იმყოფებოდა მათ შესვლამდე, დაიწყო ლაპარაკი.



საუბარი ბანაკად.

აიმიანისმა კედელზე დაინახა სხვადასხვა ფერით შეღებილი ქალაღის დიდი ფურცელი.

მასწავლებელი ჯოხით უჩვენებს ფერადი ქალაღის ფურცელზე და მოწაფეებს უამბობს:

— ამ ფურცელს ეწოდება რუქა, ამ რუქაზე დახატულია ჩვენი მხარე. აი, აქ, სადაც ყავისფერია, არის ჩვენი ალტაის მთები, მტრედისფერით დახატულია ჩვენი ტელეცის ტბა. დაბლა, იმ მხარისაკენ, სადაც შუადღისას მზე იმყოფება, ტბას ერთვის მდინარე ჩულიშმანი, ხოლო ტბის მეორე მხრიდან გადმოჰქუხს დიდი მდინარე.

— ბიაჰ!— წამოიძახეს ბავშვებმა.

— მართალია!— ამბობს მასწავლებელი და ჯოხით აჩვენებს მდინარის მიმართულებას. შემდეგ მასწავლებელი განმარტავს:

— ბია უერთდება ჩვენი ალტაის მეორე მდინარეს— კატუნის. ვის უნახავს მდინარე კატუნი, ასწიეთ ხელები,— ამბობს მასწავლებელი.

ხელი ასწია ორმა მოწაფემ. მათთან ერთად ხელი ასწია აიმანისმაც.

— შენ კატუნიდან ხარ? — სთქვა მასწავლებელმა.

— ძალიან შორი მხარიდან ყოფილხარ! — და ისევ განაგრძო გაკვეთილი.

— წითელი ხაზით რუქაზე დახატულია ჩვენი



ბრუნდებიან ბანაკიდან.

მხარე. ჩვენი ოლქი — ოირატია. ჩვენი მხარე ღიდა, მას უჭირავს 85 ათასი კვადრატული კილომეტრი. ამ ოლქში ცხოვრობს 85 ათასი კაცი, ასე რომ თითოეულ სულზე ოირატიაში მოდის თითო კვადრატული კილომეტრი. ჩვენს ოლქში ცხოვრობენ ოირატები და რუსები. რუსები მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტია; მათ ბევრი მიწა დაიკავეს. რომ რევოლუცია არ მომხდარიყო, ჩვენ, ალტაელებს, ისინი მთებში გავდენიდნენ. მიწის მუშაობას ჩვენ ნაკლებად მივდევთ. ოირატების უდიდესი სიმდიდრე არის მეჯოგეობა და ნადირობა. უბედურე-

ბა იმაშია, რომ ჩვენ არ ვყოფილვარ თადარიგისი მონადირეები. ჩვენ ბევრ ნადირს ვხოცავდით ტყვილა-უბრალოდ და ბევრი რამ გვაწო ჩვენი ტაიგის გადაწვამ. ძალიან ბევრი უბედურების გადატანა მოგვიხდა ძველ დროში, მაგრამ ახლა, ყმაწვილებო, თვითონ ჩვენზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ბედ-ილბალი.

აი, თქვენ სწავლობთ სკოლაში. თქვენთვის მშობლიურ, ოირატულ ენაზეა შედგენილი სახელმძღვანელოები. ისწავლეთ, რომ ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო ხალხი გამოხვიდეთ. ჩვენ, ოირატებს, ძალიან ცოტა ნასწავლი ხალხი გვყავს, ნასწავლი ხალხი კი ძალიან გვესაჭიროება.

ახლა ჩვენ ჩვენი მართველობა გვაქვს ურალში. ჩვენ გვეყოლება ნასწავლი ხალხი და ოირატები ნელ-ნელა თვითონ მოაგვარებენ თავიანთ ცხოვრებას.

აიმანისი უსქენდა, გაოცებული უყურებდა მასწავლებელს, რუქას, ბავშებს და აღფრთოვანებაში მოდიოდა. მას ყველაზე უფრო მოეწონა, როცა ბავშებმა წიგნის კითხვა დაიწყეს. აიმანისს ეშინოდა, რომ ვერ გაიგებდა წიგნიდან წაკითხულ სიტყვებს, მაგრამ ის ძალიან გაოცდა, როცა მოესმა მშობლიური, ოირატული, მისთვის გასაგები სიტყვები.

ახლა მას ერთადერთი სურვილი ჰქონდა: რაც შეიძლება მალე ესწავლა წიგნის კითხვა.

ასე დაიწყო აიმანისის ახალი ცხოვრება სკოლაში, სადაც იზრდებიან ალტაელი ბავშვები და ემზადებიან გახდნენ თავისუფალი ოირატის ამშენებლები.

ბ. ლეონოვი.

ოქტომბრის დღესასწაული ახლოვდება.

გავუწიოთ მოემზადეთ მის შესახებ რად!..

მსრა მუღიზ მუსუნხაღებისა



იცით თუ არა თქვენ ისეთი ქვეყანა, სადაც წყალი კერძო საკუთრებად ითვლებოდა?

იცით თუ არა თქვენ ისეთი მხარე, სადაც მდიდარ მემკვიდრედ ის ითვლებოდა, ვინც ბევრ წყალს ღებულობდა სამემკვიდრეოდ?

იცით თუ არა თქვენ ისეთი კუთხე, სადაც წყლის გულისათვის ბავშვებსაც კი ჰყიდდნენ?

შეიძლება არ იცოდეთ. მაშ, მომისმინეთ: ასეთი ქვეყანა მართლაც არსებობს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში.

თუ თქვენ შეხედავთ საბჭოთა კავშირის რუქას, მასზე კასპიის ზღვის აღმოსავლეთით შეამჩნევთ უდაბნოების ადგილს, ყვითელი საღებავით შეფერადებულს. მასზე აწერია: — ქვიშნარი. — ეს არის თურქესტანი.

როდესაც ამ ადგილში მოხვდება მოგზაური, რომელიც შეჩვეულია მდიდარ და მრავალფეროვან ბუნებას რომელიმე კუთხისას, აქ მას გააკვირვებს უდაბნოების სამარისებული სიჩუმე. აქ ყოველმხრივ გაქიმულია სწორი ან დაფერდებული ვაკეები, რომლებზედაც მოსჩანს დაუსრულებელი ქვიშა და მეტი არაფერი.

არსად არ არის აქ არც ბუჩქები, არც ბაღები. მხოლოდ იშვიათად თუ შეხვდებით რაიმე მცენარეების გამხმარ შტოებს. ისეთ ადგილებში კი, სადაც ნიადაგი ცოტათი გაუღენთილია სისველით, იზრდება უფერული, სვედის მომგვრელი ბუჩქი საქსაცულებისა.

მთელ ამ უსიცოცხლო მხარეზე, მის ნათელ მტრედისფერ ცაზე ჩამოკიდებულია გავარვარებული მზის ბურთი. აქ ქვაზე დაცემული წყლის წვეთი ისე სწრაფადვე იქცევა ორთქლად, როგორც, მაგალითად, გახურებულ რკინაზე. აქ გავარვარებული მშრალი ჰაერით მეტად ძნელია სუნთქვა, რადგანაც, ის აშრობს ფილტვებს, იწვევს საშინელ წყურვილს. და ვაი ისეთ მგზავრს, რომელსაც ამ ქვიშაიან ადგილში უწყლოდ მოუხდება ყოფნა, — მას უსათუოდ საშინელი სიკვდილი მოელის.

მაგრამ მთელი თურქესტანი როდი წარმოადგენს უდაბნოს და გახურებულ ქვიშნარს. მდინარეთა მახლობლად, მაგალითად, მდინარე ამურ-დარიას ნაპირებზე, გაქიმულია მეტად ნაყოფიერი და მდიდარი მიწები. მართალია, იმათ რწყავენ ხელოვნურად, ეგრეთწოდებული „არიკების“, განსაკუთრებული არხების, საშვალეებით გაყვანილი წყლებით, მაგრამ მაინც საუცხოვო მოსავალს იძლევიან.

ასეთი ნაყოფიერი მიწები, რომლებიც ელიან წყალს, ჯერ კი უწყლობის გამო სრულიად უვარგისია, — მეტად ბევრია თურქესტანში, ათჯერ მეტია უკვე გამოყენებულ მიწებზე. განსაკუთრებით ბევრია ასეთი ადგილი მთის კალთების ირგვლივ. აქ არის მეტად გაუვალი და მდიდარი ტყეები, ნაყოფიერი შავი მიწები, მაგრამ მშრალი.

რა მოჰყავთ ამ მიწებზე თურქესტანის მცხოვრებლებს — თურქმენებს?

გარდა ჩვეულებრივი ქერისა და შვრიისა, აქ სთესავენ კუნთუეს, სორგოს, ლუცერნას. მდინარე მურგამის დაბალ ნაწილებზე აშენებენ ძვირფას ბამბას.



ვალერსება თხას.

ბას, ეწვიან მებაღეობას, მეყურძნეობას და მეაბრე-შუმეობას. აქ ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს ბამბის კულტურას. ბამბა აუცილებელია ჩვენი საფეიქრო წარმოებისათვის.

ამ დარგის თურქესტანში კარგ დონეზე დაყენებით მომავალში მხოლოდ თურქესტანის ბამბა დააკმაყოფილებს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საფეიქრო წარმოებას.

გარდა მიწათმოქმედებისა, რომელიც ძირითადი ხელობაა თურქესტანისათვის, მის მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის მესაქონლეობას. აქ აშენებენ ბევრ ცხვარს და თხას, მათ შორის ძვირფასბეწვიან ცხვრებს, უფრო ნაკლებად აშენებენ ცხენებს და აქლემებს.


ახლა გავეცნოთ, თუ როგორ ცხოვრობენ თურქესტანის მცხოვრებლები. მათ საცხოვრებელ ბინას წარმოადგენს ყოველმხრივ შემოფარებული „კიბიტკა“, რომლის იატაკი და კედლები ნოხებითაა დაფარული. ნოხები ღარიბებსაც კი აქვთ. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თურქესტანში ნოხების წარმოება კარგ დონეზეა დაყენებული. ისინი მეტად ლამაზ და ძვირფას ნოხებს ჰქსოვენ.

თურქმენის საქმელს წარმოადგენს თხის ხორცი ბრინჯით და ქაღი, რომელსაც ისინი კეცებში აცხობენ. წინათ თურქმენები მეტად საშიშ მებრძოლ ხალხად ითვლებოდნენ. ისინი ხშირად ეცემოდნენ და ანადგურებდნენ რუსეთის საზღვრებს. ახლა კი ისინი მეტად მშვიდი ხალხია და მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას ეწევიან.

დაც წყლის მელობელობის და სარგებლობის უფლება ჰქონდათ ოჯახიანებს, ობლებს და ქვრივებს. რა საკვირველია, ამ კანონისათვის გვერდი აეხვიათ. ამის გამო თურქმენთა შორის ათასგვარ ბოროტმოქმედებას ჰქონდა ადგილი.



თურქესტანელი ბავშვები.




ყარა-ყორუმის მიდამოებში.

მეორე მახინჯი კანონი იყო კერძო საკუთრება წყლებზე. ამიტომ ყველა უფრო წყლიანი ადგილი მდიდრებმა ჩაიგდეს ხელში. ღარიბ მიწათმოქმედებს ისინი ფასით აძლევდნენ წყლებს. თუ მდიდარი კვდებოდა, ის თავის ანდერძში აუცილებლად აღნიშნავდა, სხვა ქონებასთან ერთად, თუ ვის

სასტიკმა ბუნებამ თურქმენი გამობრძმედა და მისგან შექმნა ძლიერი და ამტანი ადამიანი. ისინი უდაბნოს ხალხებს ჰკვანან: მაღალნი, ლამაზი მოყვანილობის, გამადრები. მათ შეუძლიათ კარგად აიტანონ დალილობა, სიმშოლი და წყურვილი. მათი სახის კანი ბრინჯაოს ფერია. მათ ტანსაცმელს წარმოადგენს გრძელი ხალათი, ბუხარის ქუდი და ქალაშნები.

ეს ქვეყანა ყოველთვის ისეთი არ იყო, როგორც დღეს არის. ათასი წლის წინათ აქ აყვავებული იყო მაღალი კულტურა. ძველი ქალაქების ნანგრევები, ძველი არიკების ნაშთები, რომელთაგანაც ბევრი დღესაც შენახულია, -- ლაღადებენ ამის შესახებ.

მაგრამ ამ მხარეს არასდროს არ ჰყოფნიდა წყალი. ამის შესახებ გადმოგვცემენ ამ ქვეყნის ძველი კანონები, ძველი წიგნები და გადმოცემები. ასე, მაგალითად, რევოლუციის უკანასკნელ დრომდე აქ შენახული იყო კანონი, რომლის თანახმა-



ახალგაზრდა აქლემები.

უტოვებდა მემკვიდრეობად წყალს. ეს კანონი დღეს მოსპობილია. დღეს საბჭოთა თურქესტანში მთელ მშრომელ ხალხს აქვს წყლით სარგებლობის უფლება.

თურქესტანში პიონერ-ორგანიზაცია ახლახან დაარსდა. ის ჯერჯერობით მეტად მცირერიცხოვანია, მაგრამ საერთოდ მოსახლეობა დიდი თანაგრძნობით უყურებს პიონერ-ორგანიზაციას. ახლო მომავალში მისი რიგები, ალბათ, ძლიერ გაფართოვდება და ყოველ სოფელში დაარსდება კოლექტივი.

ვეფხდოთ ოქტომბრის დღესასწაულისათვის.

ოქტომბრის დიადი რევოლუციის 10 წლის თავის შესრულებამდე სულ ცოტა დრო დარჩა. საბჭოთა ქვეყნის მშრომელი ხალხი და მასთან ერთად მსოფლიო პროლეტარიატი, — როგორც უფროსი თაობა, ისე მშრომელთა ბავშობაც, — განსაკუთრებული გრძნობით ელის ამ დიად დღესასწაულს.

25 ოქტომბერი იშვიათი და მოწინავე კაცობრიობის უდიდესი ზეიმის დღეა. ეს დღე მით უფრო საამაყო და საყვარელია ჩვენი პროლეტარული ბავშვებისათვის, პიონერებისათვის და ოქტომბრელებისათვის, რომ ისინი იშვენ ოქტომბრის ქარიშხლიანი რევოლუციით შექმნილ პირობებში, ისინი იზრდებიან ამავე ოქტომბრის ბრძოლისა და გამარჯვების დროშის ქვეშ.


ამიტომ ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის ჩატარებას ყველა მშრომელმა, ბავშვმა და პირველ რიგში კი პიონერებმა უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება და მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ მის ჩატარებაში.

პირველი — რაც აუცილებელია და მთავარი: თითოეულმა პიონერმა და ოქტომბრელმა უნდა შეიგნოს ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობა, უნდა იცოდეს, ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლით რა მოიპოვა რუსეთის მშრომელმა ხალხმა. თითოეულმა პიონერმა უნდა იცოდეს ან უნდა გაეცნოს ამ დიადი ოქტომბრის გადატრიალების მიზეზებს, მუშებისა და ღარიბი გლეხობის თავდადებულ ბრძოლას მდიდრებისა და მემამულეების წინააღმდეგ, უნდა გაერკვიოს იმაში, თუ რა მიხწევები აქვს ჩვენს ქვეყანას ოქტომბრის რევოლუციის მეოხებით. ყველა ეს უნდა იცოდეს არა მარტო თვითონ, არამედ უნდა აუხსნას და გააცნოს დაურაზმელ ბავშვებსაც, მშობლებს, ძმებს და ახმანაგებს...

მეორე, რაც მთავარია, ის არის, რომ დღეს კაპიტალისტური ქვეყნები იმუქრებიან და ემზადებიან, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხს წაართვან ოქტომბრის მონაპოვარი. ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ დავიცვათ ეს მონაპოვარი, გავაძლიეროთ ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა, მოვამზადოთ ხალხი მაულოდნელი ომიანობისათვის. ამ მხრივ დიდი ამოცანები აქვს პიონერ-ორგანიზაციებს. ეს ამოცანებია: პიონერთა მიერ აუცილებელი ელემენტარული ცოდნის შეძენა სამხედრო მუშაობის დარგში, წითელ არმიასთან კავშირის განმტკიცება — სასროლი ტირისა და სამხედრო კუთხეების მოწყობის საშუალებით კოლექტივში, სკოლაში და სხვა. პიონერთა გასამხედროვების ამოცანები გადაჭრილ

უნდა იქნას ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავის აღსანიშნავად.

პიონერის მესამე მოვალეობა არის: ოქტ. რევოლუციის ათი წლის თავზე არავინ არ უნდა იყოს წერა-კითხვის უცოდინარი არა მარტო მოზრდილთა შორას, არამედ ბავშვებში და პირველ ყოვლისა კი თვით პიონერთა შორის. ეს ის მთავარი ანდერძია, რომელიც ლენინმა დაგვიტოვა ჩვენ. ამიტომ პიონერებმა უნდა შეამოწმონ თავიანთი მუშაობა ამ მიმართულებით და შემდეგი ამოცანები უნდა დაისახონ წ/კ. უცოდინარობასთან საბრძოლველად.



ჩინელი პიონერები მიტინგზე ხანკოუში.

ომისათვის, რომ წარმართებით დამთავრდეს პიონერ-ორგანიზაციების მონაწილეობა დღესასწაულის ჩატარებაში, აუცილებლად საჭიროა აქედანვე შევუდგეთ მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებას. ეს უნდა გამოიხატოს პიონერ-კლუბების, სკოლების, საბავშვო სახლების, ქობ-სამკითხველოების მორთვა-გალამაზებაში (კუთხეების გადახალისება, პლაკატებისა და ლოზუნგების გაკრა, ოქმებისა და დიაგრამების შედგენა); ამასთან ერთად საჭიროა საუბრების ჩატარება კოლექტივებში ოქტომბრის რევოლუციის და მისი გამარჯვების მნიშვნელობის შესახებ.

განსაკუთრებით საჭიროა კედლის გაზეთის სპეციალური ნომრების გამოსაშვებად მზადება და ოქტომბრის რევოლუციის შესახებ შეგროვილი მასალების გაშუქება, აგრეთვე მზადება ინტერნაციონალური საღამოების მოსაწყობად, რისთვისაც საჭიროა შერჩეულ იქნას სათანადო რევოლუციონური საბავშვო პიესები, ცოცხალი გაზეთი, უნდა მოამზადონ სიმღერები და სხვა. ყველა ამ მუშაობაში ფართე მონაწილეობა უნდა მიაღებინონ დაურაზმელ ბავშვებსაც.

კ. ბუჯიაშვილი.



ოცდაექვსის ხსოვნას.

20 სექტემბერს შესრულდა ცხრა წელი მას შემდეგ, რაც მუშათა კლასის მტრებმა რევოლუციონურ პროლეტარიატს 26 ბოძი, 26 მტკიცე ბოლშევიკი გამოჰგლიჯეს.

9 წელი შესრულდა, რაც ინგლისის აგენტებმა — კაპიტანმა ტიგ-ჯონსმა და კასპიის ჯალათმა დრუჟკინმა გახურებულ სილით მოფენილ უდაბნოში, რუნ ბორცვებით მოფენილს მიდამოებში, ნისლიან დილას ჯგუფ-ჯგუფად დახვრიტეს ბაქოს პროლეტარიატის მეთაურები — ბაქოს 26 კომისარი. ყოველ ჩვენთაგანს მოაგონდება უსათუოდ ძვირფასი სახელები: შაუმიანი, ალიოშა ჯაფარიძე, ვანია ფიალეტოვი და სხვ. ვინ იყვნენ ესენი, რომ ასე მხეცურად ეკვეთენ მათ პროლეტარიატის კლასიური მტერი — ბურჟუაზია — და მისი ფინიები?

შაუმიანი იყო რუსეთის კომუნისტური პარტიის ცეკას წევრი, კავკასიის საგანგებო კომისარი, ბაქოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა კომისარი. შაუმიანი იყო ამიერკავკასიის პროლეტარია-

ლენინელები, თუმცა „26“-ში ორი მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერიც ერიო, რომელთაც გმირულად დასდევს თავი მშრომელი მასების საკეთილდღეოდ

1918 წლის სექტემბერში ინგლისის მისიის წარმომადგენელმა ასხაბადში ტიგ-ჯონსმა მიმართა ამიერკავკასიის მძებარ ბიუროს უფროსს სიმონ დრუჟკინს და საოლქო აღმასკომის ზოგიერთ წევრებს დატყვევებული კომისარების ინდოეთში გადაზღვრის წინადადებით. გზაში დახვრიტეს ისინი. ყველაფერი ეს ხდებოდა ბაქოს პროლეტარიატის გამყიდველი პარტიების — სოციალისტ-რევოლუციონერების, მუსავტების და მენშევიკების — დახმარებით.

19 სექტემბერს ღამით 26 კომისრით დაიძრა ჩქარი მატარებელი ასხაბადისაკენ დილის 6 საათზე მატარებელი გაჩერდა სადგურ „პერველნაისა“ და „ახსაკუიმს“ შუა, 207 ვერსზე..

სუსხიან დილას ჯგუფ-ჯგუფად დაცხრილულ იქნენ ბაქოს კომუნარები. და მშვიდებით გამოესალმენ სი-



ოცდაექვსი კომუნარი.

ტის საყვარელი და შეუცვლელი ბელადი. მის ძალას და მნიშვნელობას მისი პოლიტიკური მტრებიც არ მალავდნენ.

ალიოშა ჯაფარიძე იყო ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა კომისარი, ბოლშევიკების კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრი, 1904 წლიდან ბაქოს პროლეტარიატის საყვარელი ბელადი და ხელმძღვანელი.

ვანია ფიალეტოვი: ძველი რევოლუციონერი მუშაკი, ბაქოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე, ბოლშევიკური პარტიის კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრი.

ამირიან არსენ — კუბლიცისტი, გაზ. „ბაქოს მუშა“-ს რედაქტორი დანარჩენნი — პარტიული და საბჭოთა დიდი მუშაკები. ტრადიკულად დაცემული „26“ ყველანი ბოლშევიკები იყვნენ, ძველი

კოცხლეს, მუშათა კლასს, მათი გვამები კი ჩაფლეს სილაში რკინის გზის ხაზიდან 30 საყენის მოშორებით.

აი მოკლედ სისხლიანი ისტორია ბაქოს 26 კომისარზე.

ეს მოხდა, ამხანაგო პიონერებო, 9 წლის წინათ.. ჩვენმა მტრებმა სისხლში ჩაახრჩეს ბაქოს კომუნა და დახვრიტეს მისი მეთაურები: შაუმიანი, ჯაფარიძე, ფიალეტოვი და სხვანი. მაგრამ მათმა ღვაწლმა უშედეგოდ არ ჩაიარა... დღეს საბჭოთა რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ამიერკავკასიის პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა თავის საქმეებს თვითონ განაგებს, თავისი თავის ბატონ-პატრონიას, ის საქმე, რისთვისაც დაიღუპა 26 კომისარი, დღეს უკვე გამარჯვებულია და მათი ხსოვნაც დაუფიწყარია გამარჯვებული მუშათა კლასისთვის.

ვ. ლუარსაბიძე.



ჩვენი სწორება და მუშაობა

ჰ. ხაშურის რაიონის პიონერთა მასშტაბისათვის.

ოთხშაბათი თენდება. მზემ მთის მწვერვალისა და ამოჰყო თავი და თავისი ოქროსფერი სხივები მოფინა არემარეს. ღამის მყუდროება დაარღვია მზის სინათლემ. უკვე ყველა მშრომელი მუშა მიემართება თავის სამუშაოზე. სამჭედლოში გაისმის გრდემლზე ჩაქურჩის ცემა. სიხარულით აღტაცებული პიონერი ხრისტო გარბის თავის ამხანაგ გურგენტანს. აბა, გურგენ, ხომ იცი, დღეს ექსკურსიაზე მივალთ ბათომში. ადექი, ყველა პიონერი მზადაა, შენ კი ისევ გძინავს.

გურგენ, წამოდგა საწოლიდან თვალების ფშვინებით, დაიბანა პირი და ორივე ამხანაგმა გასწიეს სიხარულით.

ბიკო, გურგენ, ნუ გეჩქარება, არაფერი დაგჩქეს სახლში, საყვირი ხომ თან მოგაქვს?

— ხრისტო, ცოტა ხანს მოიცადე, საყვირს მოვიტან და წავიდეთ.

გურგენმა მიიბრინა სახლში, აიღო საყვირი და გაუდგა გზას. გურგენის და ხრისტოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. როგორც იყო, მივიდნენ დანიშნულ ადგილს. იქ მოეყარათ თავი წითელ ბანტებში გამოწყობილ პიონერებს, რომლებიც დიდი სიხარულით შეხვდნენ დაგვიანებულ ხრისტოს და გურგენს. ისმოდა საყვირის და დოლის რახუნი. უკვე მოაწია წასვლის დრომ. მზის სხივები თანდათან ჰქრება, და დღის სინათლეს სიბნელის შუქი შემოეპარა.

პიონერები მწკრივად მიემართებიან სადგურისკენ. სადგურში გამზადებული იყო რონოდა. უკვე ღამის 11 საათი შესრულდა, მატარებელი დაიძრა.

წინამძღოლები გაიძახიან: „ამხანაგებო, არავინ დარჩეთ“.

გზაში სრული წესრიგი იყო დაცული. ხაშურიდან მგზავრობის დროს რაი-ბიუროს თავმჯდომარის მიერ იქნა მოწვეული სხდომა კოლექტივების წინამძღოლებისა. გამომუშავებულ იქნა გეგმა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩატარებულიყო აღნიშნული გაფრენა.

ღილის 11 საათზე ბათომში ჩავედით, ცოტა ხანს შევისვენეთ, შემდეგ წითელ ბანტებში გამოწყობილი 70 პიონერი მწკრივად გავუდექით გზას. გზაში ისმოდა საყვირების და დოლების რახუნი. კოლექტივის მწკრივად სიარულმა მიიპყრო ხალხის ყურადღება. უკვე მივედით დანიშნულ ადგილზე;

პიონერები დაიშალნენ. მთელი შემადგენლობა ექსკურსანტებისა გაიყო ორ ნაწილად—ქალები და ვალები. რადგან ცხელი დღე იყო, გავეშურეთ საბანაოდ, რის შემდეგაც ექსკურსანტების მიერ დათვალიერებულ იქნა ბათომის ნავსადგური. მეორე დღეს დათვალიერებულ იქნა თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა, რის შემდეგ დანიშნულ ადგილზე დავისვენეთ და შემდეგ კი შევუდექით მუხეშის დათვალიერებას. ამ სანახაობის შემდეგ კოლექტივმა დაიქირავა ნაგები ზღვაზე სასეირნოდ, რის შემდეგ გადაღებულ იქნა საერთო სურათი. ზემოაღნიშნულ ქარხნებში ყველაფერს გვიხსნიდა ქარხნის გამგე. ახსნას პიონერები გულმოდგინედ უსმენდნენ. უკვე დღის 8 საათი იქნებოდა. მზე კარგად იყო ამოსული; მისი სხივები ზღვის ამწვანებულ ზედაპირს ეალერსებოდნენ. სრულ 8 საათზე რონოდა მიბმულ იქნა ხაშურისაკენ წამოსასვლელად. პიონერები უკვე დაბინავდნენ. მატარებელი დაიძრა. პიონერების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა; ისინი ბათომში სხვადასხვა სანახაობით დამტკბარი ბრუნდებოდნენ შინისაკენ. რონოდაში ისმოდა პიონერთა სიმღერები. საღამოს 8 საათზე ჩამოვედით ხაშურში, რის შემდეგ პიონერები სიხარულით გაეშურნენ შინისაკენ.

გ. ბითაძე.

პიონერი ოჯახში.

ყველა პიონერმა უნდა იცოდეს ოჯახში როგორ უნდა იქცეოდეს ის. უპირველეს ყოვლისა, პიონერი უნდა იყოს შრომის მოყვარული, სისუფთავის დამცველი, ის უნდა უხსნიდეს დანარჩენებს უსუფთაობის შედეგს, უნდა უვლიდეს ტანს, სუფთად უნდა იცამდეს, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ყოველგვარი ავადმყოფობისაგან, ის უნდა უკითხავდეს მშობლებს ჟურნალ-გაზეთებს, რომ ისინიც გაერკვენ ხელისუფლების ავ-კარგიანობაში, უნდა ესაუბრებოდეს ძველი, უვარგისი დღესასწაულების შესახებ, უნდა აუხსნას, რა ზიანს აძლევენ მშრომელ ღარიბ გლეხობას ისინი, უნდა აუხსნას პიონერთა ცხოვრება და მოვალეობა, რომ მშობლებმა დაშლის მაგიერ, მისცენ სხდომებზე სიარულის ნება. ზოგ პიონერს შეეხვდებით, რომელიც მშობლებს აგინებს, ლანძღავს და ზოგჯერ ხელითაც შეეხება ხოლომე. ასეთ პიონერებს ჩვენ ორგანიზაციაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ოჯახში სამაგალითო პიონერი საბჭოთა ხელისუფლებასაც გამოადგება.

პიონერი პავლე ბლიაძე



**წერილი, რომელიც მიიღეს ს. ს. რ. პ.
პიონერებმა საზრანგეთიდან.**

ქ. დრავეი. 20 აგვისტო, 1927 წ.
ძვირფასო ამხანაგებო!

გივზავნით პასუხს თქვენი წერილისა, რომელიც თქვენ გამოუგზავნეთ „საფრანგეთის პიონერების რომელიმე ჯგუფს“. თქვენ გაგიგონიათ, ალბათ, საფრანგეთის რევოლუციონერის პოლ ლაფარგის შესახებ. ის გარდაიცვალა ქ. დრავეიში (იმ ქალაქში, რომელშიაც იმყოფება ჩვენი კოლექტივი № 1), და ამიტომ ჩვენი კოლექტივი (ჯგუფი) მის საპატივცემლოდ ატარებს მის სახელს.

ჩვენ ძლიერ ვაგვეხარდა, როდესაც მივიღეთ თქვენი წერილი, რადგანაც ამით დავინახეთ, რომ საბჭოთა კავშირის პიონერები, რომლებიც თავისუფალ მუშურ-გლეხურ რესპუბლიკაში ცხოვრობენ, არ ივიწყებენ თავის ფრანგ ამხანაგებს.

ჩვენ ძლიერ გვსურს სისტემატიურად ვაწარმოოთ მიწერ-მოწერა თქვენთან და სხვა ქვეყნების პიონერებთანაც. ეს წერილი დასწერა სამი კაცისაგან შემდგარმა კომისიამ. ამ კომისიაში შედიოდნენ: ბრიუ, დენიცე და პიკარი. კომისიამ შემდეგ ის წარუდგინა კოლექტივს, რომელმაც ის შეასწორა და სათანადო მისამართით გამოგზავნა.

კომკავშირი და კომპარტია ჩვენ დიდად გვეხმარება, თვითეულ კოლექტივს ჰყავს წინამძღოლი, რომელიც თან გვახლავს ყველა გამოსვლის დროს, ესწრება ჩვენს კრებებს, გვიხსნის პიონერ-მოძრაობის ამოცანებს.

ჩვენ შეგვიძლია შეკრება დღისით მხოლოდ კვირაობით, დანარჩენ დღეებში კი საღამოობით, ვინაიდან ჩვენ დავდივართ სკოლაში, სადაც მასწავლებელი გვაიძულებს შევიყვაროთ საფრანგეთის იმპერიალიზმში და ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ვიძახოთ, რომ ყველაზე უკეთესი საფრანგეთის „დემოკრატიული“ რესპუბლიკაა.

კოლექტივის კრებაზე ჩვენ ვმსჯელობთ იმის შესახებ, თუ როგორი მუშაობა უნდა ვაწარმოოთ სკოლაში და მწარმოებელთა წინააღმდეგ.

ზაფხულში ჩვენ მოვაწყვეთ სეირნობანი ქალაქს გარეთ, სულ ქვეითად, რადგანაც მოგზაურობის საშვალებანი აქ კაპიტალისტებს ეკუთვნით, რომელთაც ჩვენ საშინლად ვეჯავრებით.

ჩვენს რაიონში თანდათან მრავლდება კოლექტივები, პიონერთა რიცხვიც საკმაოდ მატულობს.

ჩვენ კარგი რევოლუციონერები, რომლებიც შესძლებენ მოსპონ კაპიტალისტ-იმპერიალისტების ბატონობა.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ არ გვეყოლება გამცემლები, მსგავსი ჩინელ გენერალ ჩან-კაი-შისა, რადგანაც უკვე ყველა პიონერი იზრდებიან როგორც კარგი და მებრძოლი კომუნისტები მუშათა კლასის საქმისათვის.

მაშ გაუმარჯოს მთელი ქვეყნის პიონერებს!

ძირს ჩვენი მტერები!

მუდამ მზად ვიქნებით მუშათა კლასის საქმისათვის.

ჩვენ არ გვაძლევინ ლაპარაკის საშვალეებას

კომუნისტური პარტიის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის და ნორჩ ამხანაგთა კავშირის კრებაზე გამოვიდა ერთი ნორჩი ამხანაგი—პიონერი (გრეგორი). როდესაც მან წარმოსთქვა რამოდენიმე სიტყვა, მაშინ თავმჯდომარის მაგიდასთან მივიდა ერთ ერთი ზედამხედველთაგანი და სთქვა: „ამ ბავშს არ აქვს უფლება ილაპარაკოს: ის ძლიერ პატარაა ჯერ ამისთვის“. თავმჯდომარის შეკითხვაზე, არის თუ არა ინგლისში ისეთი კანონი, რომელიც ბავშებს უკრძალავს სიტყვით გამოსვლას, ზედამხედველმა არაფერი არ უპასუხა.

ამხ. გრეგორი განაგრძობდა ლაპარაკს.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ზედამხედველი დაბრუნდა უკან, ის კვლავ მივიდა თავმჯდომარისთან და უთხრა მას:

„ეს ორატორი უნდა ჩამოვიდეს ტრიბუნიდან, მას არ აქვს უფლება იდგეს მასზე“. შემდეგ მან დაუყვირა გრეგორის: „ჩამოდი მალე ტრიბუნიდან“. პიონერი იძულებული შეიქნა ჩამოსულიყო ტრიბუნიდან.



ვინ არის ეს ზედამხედველი? ეს იყო „მისი ბრწყინვალეების, მეფის“ მოსამსახურე, მტერი ჩვენი ორგანიზაციის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის სრულიად არ შეუშლიდა ხელს ბოი-სკაუტებს, ბურჟუაზიის შვილებს.

ვ. ბეკაერ.

ბრძოლა პიონერ-მოძრაობასთან

ავსტრიის პარლამენტში გერმანელების მიერ პიონერთა ორგანიზაციების შესახებ შეტანილი შეკითხვების საპასუხოდ განათლების მინისტრმა განაცხადა, რომ ამ ორგანიზაციების დამაარსებელი გლანცი, რეიზინგერი და ვერტგეიმერი პასუხისგებაში არიან მიცემული.

მინისტრმა წინადადება მისცა ვენის ქალაქის სასკოლო საბჭოს მაილოს ზომები, რომ სკოლაში მოსწავლე ბავშვები არ შევიდნენ პიონერთა ორგანიზაციებში.

პიონერებს სდევნიან და სჯიან.

(გერმანიის პიონერების წერილიდან)

სკოლაში ყველაზე უფრო ეჯავრებათ ჩვენი პიონერ—ორგანიზაცია. ჩვენს მუშაობაში დიდი დაბრკოლებები და ხელის შემშლელი პირობები გვხვდება. სკოლებში ბავშვებს აკრძალული აქვთ შევიდნენ ნორჩ სპარტაკელთა კავშირში (ასე ეძახიან გერმანიაში პიონერ-ორგანიზაციას).

ნორჩ სპარტაკელთა კავშირის წევრ ბავშვებს ხშირად ჩხრეკენ, რომ მათ არ ჰქონდეთ კომუნისტური ლიტერატურა.

თუ ნორჩი პიონერები სკოლებში უარს განაცხადებენ იმდროინდელ ფაშისტების ჰიმნი, მაშინ მათ სცემენ, ცუდ ნიშნებს უწერენ და ხშირად სკოლიდანაც ითხოვენ ასეთი „ურჩობისათვის“.

ჩინეთის პიონერები

1925 წლის მიწურულში ჩინეთის კომკავშირის ხელმძღვანელობით დაიწყო ჩინეთში განვითარება ბავშვთა კომუნისტურმა მოძრაობამ. ახლა ჩინეთის პიონერ-ორგანიზაციაში 9,000 ბავშვაა; მათგან შვიდი-ათასი მუშაობს ფაბრიკებში და ქარხნებში; ისინი უკვე დაზღვის მუშები არიან.

ჩინეთის პიონერები მეტად აქტიურ მუშაობას აწარმოებენ, ისინი საჭიროების დროს გაფიცვებსაც კი აწყობენ.

ამასწინათ შანხაიში საფეიქრო ფაბრიკაში მოაწყვეს ბავშვებმა გაფიცვა იმის გამო, რომ სამუშაოდან დაითხოვეს სრულიად უკანონოდ რამოდენიმე

მუშა ბავში. გაფიცული პატარა მუშები მოითხოვდნენ არა მარტო დათხოვნილთა დაბრუნებას, არამედ სამუშაო ქირის მომატებას და კარგ მოპყრობას ზედამხედველობის მხრივ.

ადმინისტრაციამ გაფიცულებს მოუმატა რამოდენიმე ცენტი, მაგრამ ამან არ დააკმაყოფილა გაფიცული მუშები. მათ კვლავ მოაწყვეს მიტინგი, რომელზედაც მსჯელობდნენ შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მაშინ ადმინისტრაციამ გამოიწვია პოლი-



ჩინელი პიონერების ჯგუფი ხანკაუში.

ცია, რომელმაც გარეკა მიტინგი და შეეცადა ძალით აეძულებია გაფიცული ბავშვები დაბრუნებოდნენ სამუშაოს. პოლიციამ ეს ვერ შესძლო, და გაფიცვა გრძელდებოდა, სანამ ადმინისტრაცია არ წავიდა დათმობაზე.

მუშა ბავშვები აგრეთვე ეხმარებიან მოზრდილ გაფიცულ მუშებს იმით, რომ ავრცელებენ მოწოდებებს, ფურცლებს, წინასწარ ატყობინებენ მათ პოლიციის მოახლოებას...

პიონერების მუშაობის აკრძალვა ჩინეთში


ხუბეის პროვინციის მუშათა კავშირების საბჭომ განკარგულება გასცა შეწყვეტილ იქნეს პიონერთა ორგანიზაციების მოღვაწეობა. ბძანებაში ნათქვამია, რომ უკანასკნელ დროს პიონერებმა გადადგეს ისეთი ნაბიჯები, რომლებიც „დამახასიათებელია მემარცხენეობის ბავშვური სენისა და რომელთაც შეუძლიათ ხელი შეუშალონ რევოლუციის პროგრამის განხორციელებას, თუ ისინი არ იქნენ გამოსწორებული“. ამის გამო საბჭო უბრძანებს პიონერთა ორგანიზაციებს შესწვიტონ მოღვაწეობა, დაუბრუნონ ჯოხები მუშათა კავშირებს, კავშირიდან დაითხოვონ 16 წლის ასაკზე უფროსი პიონერები და დაუყონებლივ დაუბრუნონ მათი ფორმის ტანსაცმელი მუშათა კავშირებს.

სოცხალი საკაცეები.

ნამდვილი საკაცეების შონის შეუძლებლობის დროს პიონერებს შეუძლიათ თავიანთი უნარი გამოიჩინონ — გააკეთონ საკაცეები იმ მასალიდან, რომელიც ხელთა აქვთ. საუკეთესო საკაცეები შეიძლება გაკეთდეს შემდეგნაირად. ავილოთ „კურტკა“, გადმოვაბრუნოთ ორთავე სახელო, გავუყაროთ ორი ჯოხი და „კურტკა“ შევკრათ ფოლაქებით. ავადმყოფი ჯდება „კურტკაზე“ და ეყრდნობა წინა წამლების ზურგს. შეიძლება „კურტკის“ მაგიერ ხალათიც გამოვიყენოთ.



მსუბუქად დაჭრილთა გადაყვანის ხერხი. დაჭრილი კისერზე ჰხვევს ხელს თავის გადამყვანებს.




უფრო მძიმედ დაჭრილთა გადაყვანის ხერხი. დაჭრილი გადამყვანის ხელს მიეყრდნობა.

თუ მოთხოვნილებაა უფრო დიდ საკაცეებზე, აიღებენ ორ „კურტკას“ და იქცევიან ისევე. ასეთ საკაცეზე ავადმყოფს შეუძლია დაწვეს მთელი სიგრძით, საჭიროების დროს შეიძლება, რასაკვირველია, მიემატოს მესამე „კურტკაც“. ბალიშის გაკეთება შეიძლება ზურგის უკანა ტომრის ბალახით ან ფოთლების გაყვებით. „კურტკის“ მაგიერ შეიძლება აიღოთ რომელიმე დიდი ტომარა: გაუკეთდეს ნახვრეტები ქვედა კუთხეებში და გაყოფილ იქნეს ჯოხებს შორის.

ძალზე ადვილია დიდი ხალიჩის, საბნის, ბრეზენტის, პარუსინის და სხვათა საკაცედ გადაქცევა: გაიშალოს მთელი სიფართოვით და გახვეულ იქნეს მასში ორი მხრივ ორი გამძლე ჯოხი. საკაცეზე დაწოლილი სხეულის სიმძიმე არ მისცემს გაშლის საშუალებას. დარაბა, ფიცარიც შეიძლება გამოყენებულ იქნას საკაცედ, ხოლო ისინი ჯერ უნდა დაფარულ იქნას ბალახით, თივით და გადაჭიმულ იქნას ყველა ეს მტკიცე ზეწრით, პარუსინით, საბნით ანდა სხვა ამის მსგავსი რამით.

წესები საკაცეებზე მომუშავეთათვის.

1. საკაცეებზე მომუშავენი ფეხში არ უნდა მიდიოდნენ.
 2. ნაბიჯი არ უნდა იქნეს დიდი.
 3. თვალყური ადევნეთ, რომ ავადმყოფი მიჰქონდეთ ისე, რომ არ იყოს არავითარი დაწოლა მტკივან ადგილზე. ქვედა კიდურების გადატანის შემთხვევაში მთაზე უნდა მიგქონდეთ ფეხებით წინ, მთიდან კი თავით წინ, რათა ტანის სიმძიმე არ აწვებოდეს ავადმყოფის კიდურებს.
 4. ავადმყოფის თავი უნდა იყოს დაბლა, არ უნდა იყოს დაყრდნობილი მკერდზე.
 5. ზემო კიდურების დაჭრის შემთხვევაში დააწვინეთ ავადმყოფი გულალმა
 7. სანამ გავემზავრდებოდეთ, უნდა დარწმუნდეთ იმაში, ავადმყოფი მოხერხებულად წევს თუ არა.
- მოაბრუნეთ ავადმყოფი პირით ძირს და მუხლოდგომით, ასწიეთ იგი ისე, როგორც ეს ნაჩვენებია სურათში.



მძიმედ დაჭრილთა გადაყვანის ხერხი. დაჭრილი ნახევრად წევს ხელებზე.



უგრძობლად მყოფი ადამიანის ერთი პირის მიერ გადაყვანის ხერხი.

კაცის გადატანა ცალკე ადგილას.

მისი მუცელი უნდა ხვდებოდეს ჩვენ მარჯვენა მხარზე.

მარჯვენა ხელი გაუყარე მის ფეხებს შორის და მის მარჯვენა ფეხში.

მარცხენა ხელი გაუყარე მის მარცხენა ხელს, მაგრამ დაიჭირეთ იგი მარჯვენა ხელით და მერე ადევით სრულიად.





თაქეუბანი



პატარა ომი.

პიონერები იყოფიან ორ ბანაკად ცალ-ცალკე ჯგუფების უფროსები იწყებენ იერიშს და ესერიან ბურთს მოწინააღმდეგეს. ყოველი მებრძოლი, რომელსაც მოხვდება ბურთი, ითვლება მოკლულად და ჯდება მიწაზე; გამარჯვებულად ითვლება ის ბანაკი, რომელშიაც დარჩება ფეხზე ერთი ან რამოდენიმე მებრძოლი მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე ბანაკში ყველანი იქნებიან დახოცილნი, იმისათვის, რომ თამაში იქნეს საინტერესო და მრავალფეროვანი. საჭიროა შოთამაშეები შეეფარონ კედლებს, ხეებს და სხვა.

ჯოხი რგოლში.

ის რგოლი ბაწარზეა ჩამოკიდებული ორი მეტრის სიმაღლეზე მიწიდან; შოთამაშეები შეიარაღებულნი არიან ჯოხებით (ერთი მეტრის სიგრძის), რომელიც ბოლოში უფრო მძიმეა. შოთამაშენი დგებიან ხაზის გადაღმა (ხაზი გაყვანილია 10 მეტრის დაშორებით რგოლიდან). შემდეგ შოთამაშეები სათითაოდ მიდიან წინ ზევით აწეული ჯოხით ხელში, გაჩერდებიან ხაზზე, მობრუნდებიან ადგილზე და იმ წამსვე ისერიან ჯოხს ისე, რომ ის გაძვრეს რგოლში. მოგებულთა ის, რომელიც განსაზღვრული რიცხვიდან უფრო მეტჯერ გააძვრენს ჯოხს რგოლში.

შ ე ვ ც დ ი.

ორი ჯგუფი ჩერდება ქალაქის ხაზზე. ქალაქის ხაზის წინ ერთი მეტრის დაშორებით ტარდება მეორე ხაზი; ამ ხაზამდე უნდა მიიღბინოს მოწინააღმდეგე. თამაში ასეთია: რიგრიგად ყოველი ჯგუფიდან გამოდის მარჯვენა ფრთაზე მდგომი, მიიღბენს ხაზამდე, რომელიც მოწინააღმდეგე ქალაქის წინ არის, ეხება ფეხით ხაზს და მირბის შინ. მარჯვენა ფრთის მოწინააღმდეგე იჭერს მას. თამაშის მთელი ინტერესი შემდეგ მომენტშია: შოთამაშეს შეუძლია არ შეეხოს ხაზს ფეხით და დააღვას ფეხი მოწინააღმდეგეს ხაზის გვერდით. მოწინააღმდეგე, შეცდომაში შესული, მო-

წყდება ადგილიდან, დაჰკარგავს პოზიციას, რასაც შედეგად მოჰყვება მისი მოწინააღმდეგეს ხელში ტყვედ ჩავარდნა. თამაში გრძელდება განსაზღვრულ დროს, რის შემდეგ სწარმოებს ჯგუფებს გადათვლა, და შოთამაშეთა რაოდენობით იჭრება საკითხი იმის შესახებ, თუ რომელმა ჯგუფმა მოიგო.

- წესები:** 1. დამჭერს შეუძლია მოწინააღმდეგის დადაღვა მხოლოდ იმას შემდეგ, როდესაც ის შეეხება ფეხით ხაზს.
2. დაჭერილი გადაღის მეორე ჯგუფში.

ბ რ მ მ ბ ი.

ხელი-ხელიჩაკიდებული შოთამაშენი აკეთებენ წრეს, წრის შუაში ჩადგება 9 შოთამაშე, რომელთაგან ყველას, გარდა ერთისა, აუხვევენ თვალებს. თვითთულს მათგანს ხელში ჩაიღია უკავია და დასდევნ თვალაუხვეველ შოთამაშეს და ცდილობენ ჩაიღიოს მოხვედრებას. იგი დარბის მოედანზე და ძალისხევით ჰყეფს. როდესაც ძალს ჩაიღია სამჯერ მოხვდება, იგი ბრმა გახდება, ხოლო ის ბრმა, რომელმაც ძალს ჩაიღია უკანასკნელად მოარტყა, დაიკავებს ძალის ადგილს.

ცალფეხა მელია.

პიონერები აირჩევენ ბავშს, რომელიც ცალფეხა მელიას წარმოადგენს. დანარჩენებს ხელში ჩაიღიები უჭირავთ. მელია გამოდის თავისი სოროდან, ცალ ფეხზე დასდევს შოთამაშეებს და ცდილობს ჩაიღიოს მორტყმევას გადავდებით. თუ მელიამ მოახერხა გასროლილი ჩაიღიის მორტყმევა, ის, რომელსაც ჩაიღიი მოხვდება, გახდება მელია და გაიქცევა სოროსაკენ, მხოლოდ დანარჩენი შოთამაშეები გაეკიდებიან მას და დაუწყებენ ჩაიღიის ცემას. თუ მელია დადევნების დროს ორივე ფეხზე დადგა, ანდა გასროლილი ჩაიღია ვერ მოარტყა— იგი დაუყოვნებლივ უნდა გაიქცეს, მხოლოდ დანარჩენი შოთამაშეები მას უკან დადევნებიან. გალახულ მელიას შესცლიან ახლით, და თუ მან შეასწრო სოროში შესვლა, მელიად ისევ იგი დარჩება.

გამოდის 1927 წ. გამოდის

თრკვირული საშინაო სასურათო

— უ უ რ ნ ა ლ ი —

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი II

უურნალი ს. ს. ს. რ. შველა სკოლებისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების უოველი წევრის, ორგანიზაციის უოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების კადრებულე-ბაა გამოიწერონ

— პ ი ო ნ ე რ ი —

მიიღება ხელის მოწერა 1927 წლისათვის.

უურნალი ღირს გადაგზავნით:

- წელიწადში — 5 მან.
- ექვს თვეს — 3 მან.
- სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

სალკე ნომერი — 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 23, სახელები (მესამე სართული). „პიონერი“-ს და „ნაკადული“-ს რედაქცია.

ელსმენი — 23 — 16

რედაქტორი — სარკელაქიძე კოლეზია.